1957

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდითო!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 6 (81) დეკემბერი 1957 წ.

7355

შინაარსი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

1. ბრძანებულება ქ. თბილისის მოლოტოვის სახელობის რაიონის სახელწოდების შეცვლის შესახებ.
2. ბრძანებულება საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების დამტკიცების შესახებ.
3. ბრძანებულება წალკის რაიონის დაბა მოლოტოვოს და მოლოტოვოს სადაბო საბჭოს გადარქმევის შესახებ.
4. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით იმ პირთა დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ამიერკავკასიის რკინიგზის ელექტრიფიკაციის საქმეში.
5. ბრძანებულება საქართველოს სსრ სპორტსმენების დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.
6. ბრძანებულება საქართველოს ოლქის სასახღვრო ჯარის სამხედრო მოსამსახურეთა დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.
7. ბრძანებულება საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
8. ბრძანებულება საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ.
9. მახარაძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ინიციატივის შესახებ რაიონის ცენტრისა და სოფლების კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისა და კეთილმოწყობის საქმეში.
10. ბრძანებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.
11. ბრძანებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის შესახებ.
12. ბრძანებულება „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორის" საპატიო წოდების დაწესების შესახებ.
13. ბრძანებულება ამბ. ა. ლ. გენიას განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის თანამდებობისაგან.
14. ბრძანებულება ამბ. დ. ი. ჩხეიძეშვილის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრად.
15. ბრძანებულება ამბ. მ. ბ. ღვინჯილიას დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრად.
16. ბრძანებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეობისა ამბ. ზ. ა. კვაჭაძის განთავისუფლების შესახებ საქართველოსა სსრ ვაჭრობის მინისტრის [illegible] დებობისაგან.
17. ბრძანებულება საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის [illegible] დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

18. ბრძანებულება თეთრიწყაროს რაიონის მანგლისის სადაბო საბჭოს სოფლების ბუდიონოვკისა და ვოროშილოვკის გაერთიანების შესახებ.

19. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით რესპუბლიკის იმ კომკავშირული ორგანიზაციების დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ყამირ მიწებზე მოსავლის აღებაში.

20. ბრძანებულება კუსტანაი—მოსკოვ—თბილისის ავტომატოგადარბენის მონაწილეთა დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

21. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით იმ პირთა დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ზესტაფონ—ჭიათურის ფართოლიანდაგიანი რკინიგზის ელექტრიფიცირებული ხაზის მშენებლობაზე.

22. ბრძანებულება ლაგოდეხის რაიონის სოფელ ბუდიონოვკის და ბუდიონოვკის სასოფლო საბჭოს გადარქმევის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

1. ბრძანებულება ქ. თბილისის მოლოტოვის სახელობის რაიონის სახელწოდების შეცვლის შესახებ

შეიცვალოს ქ. თბილისის მოლოტოვის სახელობის რაიონის სახელწოდება და ამ რაიონს ამიერიდან ეწოდოს ოქტომბრის რაიონი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 5 ოქტომბერი.

2. ბრძანებულება საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს „დებულება საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნებისა“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 14 ოქტომბერი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნებისა

თ ა ვ ი I

საარჩევნო სისტემა

1. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 123 მუხლისა და სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონის 22 მუხლის საფუძველზე სახალხო სასამართლოებს რაიონის მოქალაქენი ირჩევენ საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით—სამი წლის ვადით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. სახალხო მოსამართლედ და სახალხო მსაჯულად შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს სსრ ყოველი მოქალაქე, რომელიც საარჩევნო უფლებით და რომელსაც არჩევნების დღისათვის 23 წელი შეუსრულდა. არ შეიძლება არჩეულ იქნენ სახალხო მოსამართლეებად და სახალხო მსაჯულებად ნასამართლობის მქონე პირნი.

3. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 18 მუხლის საფუძველზე ყველა სხვა მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქეები საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სარგებლობენ საქართველოს სსრ მოქალაქეების თანაბარი უფლებით — აირჩიონ და არჩეულ იქნენ სახალხო მოსამართლედ და სახალხო მსაჯულად.

4. სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონის 23 მუხლის საფუძველზე რაიონის მოქალაქენი სახალხო მოსამართლეებსა და სახალხო მსაჯულებს ირჩევენ საარჩევნო ოლქების მიხედვით.

5. სახალხო სასამართლოების არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ეწევა სახელმწიფო.

თავი II

ამომრჩეველთა სიები

6. ამომრჩეველთა სიებს სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის ადგენენ: ქალაქებში — მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, რაიონებად დაყოფილ ქალაქებში — რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, დაბებში — სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სოფლად — მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

7. ამომრჩეველთა სიებში შეაქვთ ყველა მოქალაქე, მამაკაცები და ქალები, რომლებიც სარგებლობენ საარჩევნო უფლებით, სიის შედგენის დროს მოცემული საბჭოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ და არჩევნების დღისათვის 18 წელი შეუსრულდათ, დამოუკიდებლად მათი რასობრივი და ნაციონალური კუთვნილებისა, სარწმუნოებისა, განათლების ცენზისა, ბინადრობისა, სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი მდგომარეობისა და წარსული საქმიანობისა.

8. ამომრჩეველთა სიებში არ შეაქვთ სასამართლოს განაჩენით საარჩევნო უფლებაჩამორთმეული პირნი მთელი იმ ვადის განმავლობაში, რა ვადითაც საარჩევნო უფლების ჩამორთმევა განაჩენშია განსაზღვრული, აგრეთვე ის პირნი, რომელნიც კანონით დადგენილი წესით ცნობილი არიან შშლილებად.

9. ამომრჩეველთა სიები სდგება თვითეული საარჩევნო უბნეტის მიხედვით, დადგენილი ფორმით — ანბანის წესზე. ამომრჩეველის გვარის, სახელის, მამის სახელის, წლოვანებისა და საცხოვრებელი ადგილის აღნიშვნით. სიებს ხელს აწერენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და მდივანი.

10. სამხედრო ნაწილებსა და ჯარის შენაერთებში მყოფ ამომრჩეველთა სიები სდგება მეთაურის ხელმოწერით. ყველა დანარჩენი სამხედრო მოსამსახურე ამომრჩეველთა სიებში შეაქვთ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სათანადო აღმასრულებელ კომიტეტებს.

11. არჩევნებამდე 20 დღით ადრე მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ამომრჩეველთა სიებს გამოაკრავს ყველას გასაც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნობად ან უზრუნველეყოფს ამომრჩეველებისათვის ამ სიების გაცნობის შესაძლებლობას საბჭოს ან საარჩევნო პუნქტის შენობაში.

12. განცხადება ამომრჩეველთა სიაში დაშვებული უსწორობის შესახებ (სიაში შეუტანლობა, სიიდან ამოშლა, გვარის, სახელისა და მამის სახელის დამახინჯება, საარჩევნო უფლებაჩამორთმეულ პირთა უმართებულოდ შეტანა სიაში) შეაქვთ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, რომელმაც სია გამოაქვეყნა.

13. მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ვალდებულია ყოველი განცხადება ამომრჩეველთა სიებში დაშვებული უსწორობის შესახებ განიხილოს სამი დღის ვადაში და შეიტანოს საჭირო შესწორებანი ამომრჩეველთა სიაში, ან მსჯელს განმცხადებელს წერილობითი ცნობა მისი განცხადების უარყოფის მოტივების შესახებ. თუ განმცხადებელი არ ეთანხმება მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებას, მას შეუძლია საჩივარი შეიტანოს მშრომელთა დეპუტატების ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა.

თ ა ვ ი III

სახალხო სასამართლოების არჩევნების საარჩევნო ოლქები და საარჩევნო პუნქტები

14. ყოველი რაიონი, ქალაქი (რესპუბლიკური დაქვემდებარებისა), ქალაქ თბილისის რაიონი, არის ერთი სახალხო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია და იქ იქმნება სახალხო სასამართლოს არჩევნების იმდენი საარჩევნო ოლქი, რამდენი მოსამართლეც უნდა არჩეული იქნეს მოცემულ სახალხო სასამართლოში.

სახალხო სასამართლოს არჩევნების თვითეულ საარჩევნო ოლქში არჩეული იქნება ერთი სახალხო მოსამართლე და 50-დან 70-მდე სახალხო მსაჯული.

თვითეული სახალხო სასამართლოს მოსამართლეთა რიცხვს და თვითეულ საარჩევნო ოლქში ასარჩევ სახალხო მსაჯულთა რიცხვს აწესებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში—სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ან ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ან სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს ან მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამმართველოს წარდგენით.

15. სახალხო სასამართლოების არჩევნების საარჩევნო ოლქების სიას, ასარჩევი სახალხო მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების რიცხვის აღნიშვნით, აქვეყნებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში—სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ან მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არა უგვიანეს 28 დღისა არჩევნებამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. საარჩევნო ბიულეტენების მისაღებად და ხმების დასათვლელად სახალხო სასამართლოს არჩევნების საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე იქმნება საარჩევნო პუნქტები.

17. საარჩევნო პუნქტებს ქმნიან ქალაქად — მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, რაიონებად დაყოფილ ქალაქებში — მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, დაბებსა და სოფლებში — მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

საარჩევნო პუნქტები იქმნება არა უგვიანეს 25 დღისა არჩევნებამდე.

18. ქალაქებში, დაბებში, აგრეთვე სოფლებში და იმ სასოფლო საბჭოების ტერიტორიაზე, სადაც ითვლება 2.000-ზე მეტი მცხოვრები, საარჩევნო პუნქტები იქმნება ანგარიშით — ერთი საარჩევნო პუნქტი 1.500 — 3.000 მცხოვრებზე.

19. სასოფლო საბჭოს ტერიტორია, რომლის მოსახლეობა 2.000 კაცს არ აღემატება, როგორც წესი, მიეკუთვნება ერთ საარჩევნო პუნქტს.

თვითეულ სოფელში, რომელშიც ითვლება 500-დან 2.000-მდე მცხოვრები, იქმნება ცალკე საარჩევნო პუნქტი.

სოფელში ან სოფლების ჯგუფში, სადაც ითვლება 500-ზე ნაკლები მცხოვრები, მაგრამ არანაკლებ 300-ისა, იმ შემთხვევაში, თუ მანძილი ასეთი სოფლებიდან საარჩევნო პუნქტამდე 10 კილომეტრს აღემატება, შეიძლება შეიქმნას ცალკე საარჩევნო პუნქტი.

20. დაშორებულ რაიონებში, სადაც წვრილი დასახლებული პუნქტები სჭარბობენ, შეიძლება მოეწყოს საარჩევნო პუნქტები არანაკლებ 100 მცხოვრებით.

მთიან და სამომთაბარო ადგილებში შეიძლება შეიქმნას საარჩევნო პუნქტები 100-ზე ნაკლები მცხოვრებით, მაგრამ არა ნაკლებ 50-ისა.

21. სამხედრო ნაწილებში და ჯარის შენაერთებში ეწყობა ცალკე საარჩევნო პუნქტები არანაკლებ 50 და არა უმეტეს 3.000 ამომრჩევლისა.

თ ა ვ ი IV

არჩევნების ორგანიზაცია

22. სახალხო სასამართლოების არჩევნებს აწყობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მეშვეობით. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი — სათანადო ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის მთელ ტერიტორიაზე თვალყურს ადევნებენ არჩევნების მსვლელობაში არჩევნების ამ დებულების შესრულებას და სწყვეტენ საჩივრებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების არასწორ მოქმედებაზე.

23. მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა, რომელთაც რაიონული დაყოფა არა აქვთ) აღმასრულებელ კომიტეტებს ევალებათ:

ა) რეგისტრაციის წარმოება სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა კანდიდატებისა, რომლებიც წამოყენებული არიან საქართველოს სსრ კონსტიტუციის, სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონისა და ამ დებულების მოთხოვნათა დაცვით;

ბ) მომარაგება საარჩევნო პუნქტებისა სახალხო მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების არჩევნებისათვის დაწესებული ფორმის საარჩევნო ბიულეტენებით;

გ) რწმუნებულების დანიშვნა საარჩევნო ბიულეტენების მისაღებად და ხმების დასათვლელად საარჩევნო პუნქტებში;

დ) სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულთა არჩევნების შედეგების გამორკვევა თვითეული საარჩევნო ოლქის მიხედვით;

ე) სახალხო მოსამართლედ და სახალხო მსაჯულად არჩეულთათვის არჩევის მოწმობების მიცემა და არჩეულ სახალხო მსაჯულთა სიების შედგენა;

ვ) განხილვა საჩივრებისა საარჩევნო პუნქტებში წარგზავნილ რწმუნებულთა არასწორი მოქმედების შესახებ.

24. სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის თვითეული კანდიდატისათვის მიცემული ხმების დასათვლელად მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ქმნიან დამთვლელ კომისიას 5—7 კაცის შემადგენლობით თვითეულ საარჩევნო ოლქში.

25. ყოველ საარჩევნო პუნქტში სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის თვითეული კანდიდატისათვის მიცემული ხმების დასათვლელად მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის რწმუნებულთან იქმნება დამთვლელი კომისია 5—11 კაცის შემადგენლობით, რომელსაც ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

თ ა ვ ი V

სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის კანდიდატების წამოყენების წესი

26. სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის კანდიდატების წამოყენების უფლება უზრუნველყოფილი აქვთ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მშრომელთა საზოგადოებებს: კომუნისტურ პარტიულ ორგანიზაციებს, პროფესიულ კავშირებს, კოოპერაციულ ორგანიზაციებს, ახალგაზრდობის ორგანიზაციებსა და კულტურულ საზოგადოებებს, აგრეთვე საერთო კრებებს მუშებისა და მოსამსახურეებისა — საწარმოებსა და დაწესებულებებში, სამხედრო მოსამსახურეებისა — სამხედრო ნაწილებში, საერთო კრებებს გლეხებისა — კოლმეურნეობებსა და სოფლებში, საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და მოსამსახურეებისა — საბჭოთა მეურნეობებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

27. არჩევნებამდე არა უგვიანეს 15 დღისა ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაცია ან მშრომელთა საზოგადოება, რომლებმაც წამოაყენეს სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის კანდიდატები, ვალდებული არიან რეგისტრაციაში გაატარონ ეს კანდიდატები მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ვალდებულია რეგისტრაციაში გაატაროს სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის ყველა კანდიდატი, რომლებიც წამოაყენეს საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და მშრომელთა საზოგადოებებმა საქართველოს სსრ კონსტიტუციის, სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონისა და არჩევნების ამ დებულების მოთხოვნათა დაცვით.

28. საზოგადოებრივი ორგანიზაცია ან მშრომელთა საზოგადოება, რომლებმაც წამოაყენეს სახალხო მოსამართლისა ან სახალხო მსაჯულის კანდიდატები, ვალდებული არიან კანდიდატის რეგისტრაციაში გასატარებლად მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს წარუდგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) სახალხო მოსამართლის ან სახალხო მსაჯულის კანდიდატის წამომყენებელი კრების ან სხდომის ოქმი, ხელმოწერილი პრეზიდიუმის წევრების მიერ, მათი საცხოვრებელი ადგილის აღნიშვნით; ოქმში უნდა აღნიშნული იყოს: კანდიდატის წამომყენებელი ორგანიზაციის სახელწოდება, კრების ან სხდომის ადგილი, დრო და მონაწილეთა რაოდენობა, კანდიდატის გვარი, სახელი, მამის სახელი, მისი წლოვანება, საცხოვრებელი ადგილი, პარტიულობა, საქმიანობა;

ბ) სახალხო მოსამართლისა ან სახალხო მსაჯულის კანდიდატის განცხადება, რომ იგი თანახმაა კენჭი იყაროს ამ საარჩევნო ოლქში იმ ორგანიზაციის სახელით, რომელმაც მისი კანდიდატურა წამოაყენა.

29. სახალხო მოსამართლისა ან სახალხო მსაჯულის კანდიდატს შეიძლება კენჭი ეყაროს მხოლოდ ერთ საარჩევნო ოლქში.

30. მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის უარი სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის კანდიდატის რეგისტრაციაში გატარებაზე შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს ორი დღის ვადაში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში—სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ან მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, რომელთა გადაწყვეტილება საბოლოოა.

31. სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის თვითეული რეგისტრირებული კანდიდატის გვარი, სახელი, მამის სახელი, წლოვანება, საქმიანობა, პარტიულობა და კანდიდატის წამომყენებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახელწოდება ქვეყნდება მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ არა უგვიანეს 12 დღისა არჩევნებამდე.

32. სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის ყველა რეგისტრირებული კანდიდატი აუცილებლად უნდა იქნეს შეტანილი საარჩევნო ბიულეტენში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

33. მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ვალდებულია არა უგვიანეს 10 დღისა არჩევნებამდე ყველა საარჩევნო პუნქტს დაუგზავნოს საარჩევნო ბიულეტენები.

34. საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდება სახალხო მოსამართლის არჩევნებისათვის ცალკე და სახალხო მსაჯულთა არჩევნებისათვის ცალკე, თვითეული საარჩევნო ოლქის მიხედვით.

35. საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდება შესაბამისი საარჩევნო ოლქის მოსახლეობის ენაზე იმ რაოდენობით, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ამომრჩეველს.

36. თვითეული ორგანიზაციისათვის, რომელმაც წამოაყენა მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში რეგისტრირებული კანდიდატი, ისევე როგორც თვითეული მოქალაქისათვის, უზრუნველყოფილია უფლება დაუბრკოლებლად გასწიოს აგიტაცია ამ კანდიდატის სასარგებლოდ კრებებზე, პრესაში და სხვა საშუალებით, თანახმად საქართველოს სსრ კოსტიტუციის 138 მუხლისა.

თ ა ვ ი VI

ხმის მიცემის წესი

37. სახალხო სასამართლოების არჩევნები ხდება ერთი დღის განმავლობაში, რომელიც საერთოა საქართველოს სს რესპუბლიკისათვის.

არჩევნების დღეს აწესებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი არა უგვიანეს 30 დღისა არჩევნებამდე. არჩევნები მოხდება არა სამუშაო დღეს.

38. ამომრჩევლები ხმას აძლევენ არჩევნების დღის დილის 6 საათიდან ღამის 12 საათამდე ადგილობრივი დროით.

39. არჩევნების დღეს დილის 6 საათზე მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის რწმუნებული საარჩევნო პუნქტში, დამთვლელი კომისიის წევრების თანდასწრებით, ამოწმებს საარჩევნო ყუთებს და დაწესებული ფორმით შედგენილი ამომრჩეველთა სიის არსებობას, რის შემდეგ ხურავს და ლუქავს ყუთს და იწვევს ამომრჩევლებს ხმის მიცემის დასაწყებად.

40. თვითეული ამომრჩეველი ხმას აძლევს პირადად, რისთვისაც ცხადდება ხმის მიცემისათვის გაცოცხლებულ შენობაში. ამომრჩეველთა მიერ ხმის მიცემა ხდება საარჩევნო ბიულეტენების ჩაშვებით საარჩევნო ყუთში.

41. საარჩევნო შენობაში გამოიყოფა საკანგები ოთახები ან მოეწყობა ცალკე კაბინები, რომ ამომრჩევლებმა საარჩევნო ბიულეტენები შეიტანონ. ამომრჩევლების მიერ საარჩევნო ბიულეტენების შევსების დროს ამ ოთახში ან კაბინაში აკრძალულია ვისიმე ყოფნა (ათ შორის აღმასრულებელი კომიტეტის რწმუნებულისა და დამთვლელი კომისიის წევრებისა), გარდა ხმის მიმცემისა.

42. საარჩევნო შენობაში ხმის მისაცემად მოსული ამომრჩეველი მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის რწმუნებულს ან დამთვლელი კომისიის წევრს წარუდგენს ან პასპორტს, ან საკოლმეურნეო წიგნაკს, ან პროფკავშირის ბილეთს, ან პირადობის სხვა მოწმობას და ამომრჩეველთა სიაში მისი შემოწმებისა და ამავე სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აში სათანადო აღნიშვნის შეტანის შემდეგ ღებულობს საარჩევნო ბიულეტენს სახალხო მოსამართლის ასარჩევად და საარჩევნო ბიულეტენს სახალხო მსაჯულების ასარჩევად.

43. საარჩევნო ბიულეტენების შესავსებად გამოყოფილ ოთახში ამომრჩეველი თვითეულ საარჩევნო ბიულეტენში სტოვებს სახალხო მოსამართლის და სახალხო მსაჯულების იმ კანდიდატების გვარებს, რომლებსაც იგი ხმას აძლევს, დანარჩენების გვარებს შლის, შემდეგ ამომრჩეველი საარჩევნო ყუთთან მიდის და უშვებს მასში საარჩევნო ბიულეტენებს.

44. ამომრჩეველს, რომელსაც წერაკითხვის უცოდინარობის ან რაიმე ფიზიკური ნაკლის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენები, უფლება აქვს მოიწვიოს იმ შენობაში, სადაც საარჩევნო ბიულეტენები ივსება, რომელიმე სხვა ამომრჩეველის საარჩევნო ბიულეტენების შესავსებად.

45. საარჩევნო აგიტაცია საარჩევნო შენობაში ხმის მიცემის დროს არ შეიძლება.

46. საარჩევნო შენობაში წესრიგის დაცვის პასუხისმგებლობა ეკისრება მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის რწმუნებულს, და მისი განკარგულებანი ყველა დამსწრისათვის სავალდებულოა.

47. არჩევნების დღეს, ღამის 12 საათზე მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის რწმუნებული ხმის მიცემას დამთავრებულად აცხადებს, და დამთვლელი კომისია იწყებს საარჩევნო ყუთების გახსნას.

თ ა ვ ი VII

არჩევნების შედეგების გამორკვევა

48. შენობაში, სადაც სწარმოებს საარჩევნო პუნქტის მიხედვით ხმების დათვლა, ხმების დათვლაზე დასწრების უფლება აქვთ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების წარმომადგენლებს, რომელთაც ეს სპეციალურად ექნებათ დავალებული, აგრეთვე პრესის წარმომადგენლებს.

49. დამთვლელი კომისია, ყუთების გახსნის შემდეგ, ადარებს ყუთებში ჩაშვებული ბიულეტენების რაოდენობას და იმ პირთა რიცხვს, რომლებმაც ბიულეტენები მიიღეს ამომრჩეველთა სიის მიხედვით და შედარების შედეგები შეაქვს ოქმში.

50. გაუქმებულად ითვლება:

ა) დაუწესებელი ნიმუშის ბიულეტენები;

ბ) სახალხო მოსამართლის არჩევნების ბიულეტენები, რომლებშიც ხმის მიცემის დროს დატოვებულია ერთ კანდიდატზე მეტი.

51. მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის რწმუნებული ადგენს ოქმს ამ საარჩევნო პუნქტში სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულების კანდიდატებისათვის ხმის მიცემის შესახებ. ოქმს ხელს აწერენ რწმუნებული და დამთვლელი კომისიის ყველა წევრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

52. საარჩევნო პუნქტში ჩატარებული ხმის მიცემის ოქმში უნდა აღინიშნოს:

ა) ხმის მიცემის დაწყებისა და დამთავრების დრო;

ბ) ამომრჩეველთა საერთო რიცხვი სიის მიხედვით;

გ) რიცხვი ამომრჩევლებისა, რომელთაც საარჩევნო ბიულეტენები მიიღეს;

დ) რიცხვი ამომრჩევლებისა, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ხმის მიცემაში;

ე) გაუქმებულად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობა, სახალხო მოსამართლის არჩევნებისა ცალკე და სახალხო მსაჯულთა არჩევნებისა ცალკე;

ვ) რაოდენობა ბიულეტენებისა, რომლებშიც წაშლილია ყველა კანდიდატის გვარი, სახალხო მოსამართლის არჩევნებისა ცალკე და სახალხო მსაჯულთა არჩევნებისა ცალკე;

ზ) სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულების თვითეული კანდიდატის სასარგებლოდ მიცემული ხმების რაოდენობა.

53. საარჩევნო პუნქტში ჩატარებული ხმის მიცემის ოქმს რწმუნებული დაუყოვნებლივ უგზავნის მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

54. ყველა საარჩევნო ბიულეტენი (ცალკე ნამდვილი და ცალკე გაუქმებულად ცნობილი) უნდა დაიღუქოს და შესანახად ჩაბარდეს: ქალაქებში — მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რაიონებად დაყოფილ ქალაქებში — მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, სოფლად — მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ევალება შეინახოს საარჩევნო ბიულეტენები 3 თვის განმავლობაში არჩევნების დღიდან.

55. მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული საოლქო დამთვლელი კომისიები ითვლიან თვითეულ საარჩევნო ოლქში სახალხო მოსამართლის და სახალხო მსაჯულის თვითეული კანდიდატისათვის მიცემულ ხმებს საარჩევნო პუნქტებში წარგზავნილ რწმუნებულთა მიერ წარმოდგენილი ოქმების საფუძველზე.

ხმების დათვლაზე დასწრების უფლება აქვთ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების წარმომადგენლებს, რომელთაც ეს სპეციალურად ექნებათ დავალებული, აგრეთვე პრესის წარმომადგენლებს.

56. სახალხო მოსამართლისა ან სახალხო მსაჯულის კანდიდატი, რომელმაც მიიღო ხმების აბსოლუტური უმრავლესობა, ე. ი. იმ ხმების ნახევარზე მეტი, რომლებიც მიცემულია ოლქში და ცნობილია ნამდვილად, არჩეულად ითვლება.

57. მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საოლქო დამთვლელი კომისია აღგენს სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულების კანდიდატებისათვის საარჩევნო ოლქში ჩატარებული ხმის მიცემის ოქმს სამ ცალად, ოქმს ხელს აწერს დამთვლელი კომისიის ყველა წევრი.

58. საარჩევნო ოლქში ჩატარებული ხმის მიცემის ოქმში აღნიშნული უნდა იყოს:

ა) ამომრჩეველთა საერთო რიცხვი ოლქში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) რიცხვი ამომრჩევლებისა, რომელთაც მიიღეს საარჩევნო ბიულეტენები;

გ) რიცხვი ამომრჩევლებისა, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ხმის მიცემაში;

დ) გაუქმებულად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობა, სახალხო მოსამართლის არჩევნებისა ცალკე და სახალხო მსაჯულთა არჩევნებისა ცალკე;

ე) რაოდენობა ბიულეტენებისა, რომლებშიც წაშლილია ყველა კანდიდატის გვარი, სახალხო მოსამართლის არჩევნებისა ცალკე და სახალხო მსაჯულების არჩევნებისა ცალკე;

ვ) სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის თვითეული კანდიდატის სასარგებლოდ მიცემული ხმების რაოდენობა.

59. ხმების დათვლის დამთავრების შემდეგ მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ვალდებულია გაუგზავნოს თვითეულ საარჩევნო ოლქში ჩატარებული ხმის მიცემის ოქმის ერთი ცალი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ან მშრომელთა დეპუტატების სოფლის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

ოქმის მეორე ცალი ერთდროულად იგზავნება საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროში, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროებში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების სოფლის საბჭოსთან არსებულ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამმართველოში.

ოქმის მესამე ცალი, სახალხო სასამართლოს არჩევნების მთელ საქმისწარმოებასთან ერთად, რჩება მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საქმეებში.

60. თვითეულ საარჩევნო ოლქში ჩატარებული ხმის მიცემის ოქმის ხელმოწერის შემდეგ მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე აცხადებს არჩევნების შედეგებს და სახალხო მოსამართლეებად და სახალხო მსაჯულებად არჩეულებს აძლევს არჩევის მოწმობას, აგრეთვე სახალხო სასამართლოს გადასცემს ამ სახალხო სასამართლოსათვის არჩეული სახალხო მსაჯულების სიას, ხელმოწერილს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარისა და მდივნის მიერ.

61. რაიონში, ქალაქში (რესპუბლიკური დაქვემდებარებისა), ქალაქ თბილისის რაიონში, სადაც სახალხო სასამართლოს შემადგენლობაში არჩეულია ორი და მეტი სახალხო მოსამართლე, მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭო, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროებისა და სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების სოფლის საბჭოს აღმასკომთან არსებულ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამმართველოს უფროსის წარდგენით, ერთ-ერთ არჩეულ მოსამართლეს ამტკიცებს სახალხო სასამართლოს თავმჯდომარედ.

62. თუ სახალხო მოსამართლის ვერც ერთმა კანდიდატმა საარჩევნო ოლქში ვერ მიიღო ხმების აბსოლუტური უმრავლესობა, მშრომელთა დეპუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კი—სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ან ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს და აცხადებს ხელახალ კენჭისყრას იმ ორი კანდიდატისათვის, რომლებმაც მიიღეს ყველაზე მეტი ხმა. ხელახალი კენჭისყრის დღე დაინიშნება არა უგვიანეს ორი კვირის ვადისა არჩევნების პირველი ტურის შემდეგ.

63. თუ რიცხვი სახალხო მსაჯულების კანდიდატებისა, რომელთაც მიიღეს ხმების აბსოლუტური უმრავლესობა, ნაკლებია ასარჩევი სახალხო მსაჯულების დადგენილ რიცხვზე, მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კი სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ან ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კი—სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ან ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი იძლევა მითითებას ან ხელახალი კენჭისყრის დანიშვნის შესახებ, ან სახალხო მსაჯულთა რიცხვის შესაბამისი შემცირების შესახებ ამ საარჩევნო ოლქში.

ხელახალი კენჭისყრა, თუ იგი საჭიროდ იქნა ცნობილი, დაინიშნება არა უგვიანეს ორი კვირისა არჩევნების პირველი ტურის შემდეგ. ხელახლა კენჭი ეყრება სახალხო მსაჯულთა იმ კანდიდატების საჭირო რიცხვს, რომლებმაც არჩევნების პირველ ტურში ყველაზე მეტი ხმები მიიღეს.

64. თუ საარჩევნო ოლქში მიცემული ხმების როადენობა შეადგენს იმ ამომრჩეველთა რიცხვის ნახევარზე ნაკლებს, რომელთაც ამ ოლქში ხმის მიცემის უფლება აქვთ, მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და სანხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კი—სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ან მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს და ნიშნავს ახალ არჩევნებს არა უგვიანეს ორი კვირის ვადისა პირველი არჩევნების შემდეგ.

65. სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა კანდიდატებისათვის ხელახალი კენჭისყრა, ისევე როგორც ახალი არჩევნები ნაცვლად გაუქმებულისა, მოხდება ამომრჩეველთა სიებით, რომლებიც შედგენილი იყო პირველი არჩევნებისათვის და, არჩევნების ამ დებულების სრულ შესაბამისად.

66. სახალხო მოსამართლის ვადამდე გასვლის შემთხვევაში (ამომრჩეველთა მიერ უკან გამოწვევა, გარდაცვალება, ხანგრძლივი ავადმყოფობა და სხვ.) სახალხო მოსამართლის ხელახალ არჩევნებს აწყობენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიკებში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კი—შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ან მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არა უგვიანეს ორი თვის ვადისა სახალხო მოსამართლის გასვლის დღიდან.

67. თუ სახალხო მსაჯულთა საგრძნობი რიცხვის გამოკლების გამო დარჩენილ სახალხო მსაჯულთა რიცხვი არასაკმაო იქნება ამ სახალხო სასამართლოს ნორმალური მუშაობისათვის, მოიწყობა სახალხო მსაჯულების დამატებითი არჩევნები.

68. ყველა ის პირი, ვინც ძალადობის, მოტყუების, მუქარის ან მოსყიდვის გზით ხელს შეუშლის საქართველოს სსრ მოქალაქეს თავისუფლად განახორციელოს თავისი უფლება—აირჩიოს და არჩეულ იქნეს სახალხო მოსამართლედ და სახალხო მსაჯულად, დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე.

69. თანამდებობის პირი, რომელიც სიყალბეს შეიტანს დოკუმენტებში ან განზრახ არასწორად დაითვლის ხმებს სახალხო სასამართლოების არჩევნების დროს, დაისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე.

3. ბრძანებულება წალკის რაიონის დაბა მოლოტოვის და მოლოტოვის სადაბო საბჭოს გადარქმევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს წალკის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება, დაბა მოლოტოვის დაბა თრიალეთად და მოლოტოვის სადაბო საბჭოს თრიალეთის სადაბო საბჭოდ გადარქმევის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**ვ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 26 ოქტომბერი.

4. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით იმ პირთა დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ამერიკავკასიის რკინიგზის ელექტრიფიკაციის საქმეში

ამერიკავკასიის რკინიგზის სურამის უღელტეხილის საბჭოთა კავშირში პირველი ელექტრიფიცირებული უბნის ამუშავების დღიდან 25 წლისთავთან დაკავშირებით და ამერიკავკასიის რკინიგზის ელექტრიფიკაციის საქმეში დამსახურებისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. აბელიშვილი ლევან გრიგოლის-ძე — ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის პროფესორი
2. აბესაძე მიხეილ ივანეს ძე — ზესტაფონის საელმავლო დეპოს მემანქანე
3. ბუკრეევი ნიკოლოზ ათანასეს-ძე — „კავკაპროტრანსის“ ელექტრიფიკაციის განყოფილების უფროსი
4. ბურჯანაძე პავლე მოსეს-ძე — ენერგომომარაგების თბილისის უბნის წევის ქვესადგურის უფროსი
5. გოჩიაშვილი ნიკოლოზ ვასილის ძე — თბილისის საელმავლო დეპოს ზეინკალი
6. ვაინშტეინ ბორის ზინოვეს-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის ელექტრიფიკაციისა და ენერგეტიკული მეურნეობის ტექნიკური განყოფილების სამსახურის უფროსი
7. თოიძე მიხეილ ზაქარიას-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის ელექტრიფიკაციისა და ენერგეტიკული მეურნეობის სამსახურის უფროსი
8. თოფჩიშვილი ივანე ალექსის-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის ელექტრიფიკაციისა და ენერგეტიკული მეურნეობის სამსახურის მთავარი ინჟინერი
9. კაკაბაძე დიმიტრი რუბენის-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის საორთქლმავლო მეურნეობის სამსახურის უფროსი
10. კაპანაძე შალვა სიმონის-ძე — ხაშურის საელმავლო დეპოს მემანქანე
11. ლოგუა შალვა სარდიონის-ძე — სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს „გლავტრანსენერგომონტაჟის“ უფროსის მოადგილე, ამიერკავკასიის რკინიგზის ელექტრიფიკაციის სამსახურის ყოფილი უფროსი
12. ლუგოვოი ონისიმე ივანეს-ძე — სოხუმის საორთქლმავლო დეპოს მემანქანე-ინსტრუქტორი
13. მანჯავიძე ალექსანდრე პართენის-ძე — ხაშურის საელმავლო დეპოს მემანქანე
14. მასხარაშვილი აპოლონ ანდრიას-ძე — თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის მთავარი ინჟინერი, სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის საელმავლო საამქროს ყოფილი უფროსი
15. მაცხონაშვილი ივანე ნიკოლოზის ძე — ხაშურის საელმავლო დეპოს ბრიგადირი
16. მქედლიძე თეოფილე სტეფანეს-ძე — ენერგომომარაგების ხაშურის უბნის მონტიორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. ონიკაშვილი გიორგი ივანეს-ძე — ენერგომომარაგების თბილისის უბნის უფროსი
18. ორლოვი — შალამოვი ნიკოლოზ ვიაჩესლავის-ძე — „კავგიპროტრანსის“ ელექტრიფიკაციის განყოფილების მთავარი სპეციალისტი
19. ორჯონიკიძე შალვა სიმონის-ძე — ენერგომომარაგების ხაშურის უბნის საკონტაქტო ქსელის დისტანციის უფროსი
20. პაიჭაძე ალექსანდრე ალექსის-ძე — ხაშურის საელმავლო დეპოს ელმავალთა მიმღები
21. რევაზაშვილი გიორგი თეოდორეს-ძე — ხაშურის საელმავლო დეპოს მჭედელი
22. რიტამაძე გიორგი ევტიხის-ძე — ხაშურის საელმავლო დეპოს მემანქანე
23. სეხნიაშვილი გიორგი მიხეილის-ძე — ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის დოცენტი
24. სტეფანოვი გიორგი ეფიმის-ძე — ხაშურის საელმავლო დეპოს უფროსი
25. ტამრაზოვი ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
26. ქარუმიძე იოსებ გიორგის ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილე
27. ქასრელაშვილი გიორგი სტეფანეს-ძე — თბილისის საელმავლო დეპოს მემანქანე
28. ქვლივიძე თამარ ნიკოლოზის ასული — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის თანამშრომელი, თბილისის ენერგომომარაგების უბნის უფროსის ყოფილი მოადგილე
29. შიუკაშვილი მიხეილ ილიას-ძე — ხაშურის საელმავლო დეპოს მემანქანე
30. ჩიტაძე გიორგი ვლადიმერის-ძე — ენერგომომარაგების ხაშურის უბნის საკონტაქტო ქსელის სადგურის უფროსი
31. ცაცანაშვილი პლატონ ალექსის-ძე — თბილისის საელმავლო დეპოს ელექტრო ზეინკალი
32. ცაცებაშვილი შალვა ალექსანდრეს-ძე — ენერგომომარაგების ხაშურის უბნის უფროსი
33. ჭყოიძე სამუელ ეპიფანეს-ძე — ენერგომომარაგების ხაშურის უბნის ოსტატი
34. ხოლუაშვილი ნატალია ილიას ასული — ხაშურის საელმავლო დეპოს მემანქანე
35. ხუბეროვი სერგი არშაკის-ძე — ენერგომომარაგების ხაშურის უბნის წევის ქვესადგურის ოსტატი
36. ხვესურიანი მიხეილ აბესალომის-ძე — ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის დოცენტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

37. ჯიშკარიანი გიორგი ზაქარიას-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის საორთქლმავლო მეურნეობის სამსახურის ორთქლმავლების შეკეთების განყოფილების უფროსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე —**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 26 ოქტომბერი.

7355

ნ. ბრძანებულება საქართველოს სსრ სპორტსმენების დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით

საქართველოს სს რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში აქტიური მონაწილეობისათვის და ამერკავკასიის რესპუბლიკებისა და მოლდავეთის სს რესპუბლიკის 1957 წლის სპარტაკიადაზე მაღალი სპორტული მიღწევებისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. აბაშიძე როსტომ ომარის-ძე — მოჭიდავე
2. ანტონიანი ალბერტ დავითის-ძე — მცურავი
3. ანტონოვი ბორის ივანეს-ძე — სასტენდო მსროლელი
4. ანშპა ზალატისკა ჩიპოს ძე — საცხენოსნო სპორტის წარმომადგენელი
5. არკადიევა რადა ალექსანდრეს ასული — მცურავი
6. აფვლედიანი შოთა ნიკოლოზის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის სასწავლო-სპორტული განყოფილების უფროსის მოადგილე
7. ბაბახანიდი კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე — მოკრივე
8. ბეთანელი თამარ გიორგის ასული — ტანმოვარჯიშე
9. ბეკტაშვილი გიორგი მიხეილის-ძე — ტყვიის მსროლელი
10. ბერიძე ანატოლი ივანეს ძე — ნიჩბოსანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. ბოჟორიძე ივანე ივანეს-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე
12. გიორგაძე ლევან ლევანის ძე — მცურავი
13. გობეჯიშვილი გურამ სერაფიონის-ძე — მოჭიდავე
14. გორგასლიძე შალვა თეოფილეს-ძე — კრიკეის მწვრთნელი
15. გოჩალეიშვილი თენგიზ ნოეს ძე — ფეხბურთელი
16. გრიგოლაშვილი დარეჯან სერგის ასული — კალათბურთელი
17. გუნია ავთანდილ ვასილის-ძე — ველოსპორტის მწვრთნელი
18. ერისთავი მალხაზ ვალერიანის-ძე — სპორტსმენი-ცხენოსანი
19. იორდანიშვილი პეტრე ანდრიას-ძე — ჭიდაობის მწვრთნელი
20. კანდელაკი ოთარ ალექსანდრეს-ძე — მოჭიდავე
21. კაპანაძე გურამ ვსევოლოდის-ძე — ჩოგბურთელი
22. კორძაია რევაზ გიორგის-ძე — ცხენოსნობის მწვრთნელი
23. ლაკერბაი ოლეგ გრიგოლის-ძე — მძლეოსნობის მწვრთნელი
24. მუსასტიკოვი შალვა ნესტორის-ძე — ცურვის მწვრთნელი
25. ოსიპოვი იური ოსიპის-ძე — მოფარიკავე
26. ოქრუაშვილი ლიუდმილა ვალენტინის-ასული — მცურავი
27. პევკოვი ანატოლი ივანეს-ძე — სპორტსმენი ხუთჭიდელი
28. ჟღენტი მამია კოსტანტინეს-ძე — სიმძიმეთა აწევის მწვრთნელი
29. რაზმაძე ნოდარ დავითის-ძე — ნიჩბოსანი
30. რიაზანოვა ირინე ევგენის-ასული — ჩოგბურთელი
31. სამსონაძე ვლადიმერ — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრისტახის-ძე	და სპორტის კომიტეტის თავჯდომარის მოადგილე
32. სიკორსკი ვლადიმერ ვასილის-ძე	— ველოსიპედისტი
33. სიხარულიძე სერგი ვასილის ძე	— ფეხბურთის მწვრთნელი
34. ტულუში მამია ავქსენტის-ძე	— მძლეოსანი
35. ფანჩვიძე ლონდა იოსების ასული	— მოფარიკავე
36. ქაცარავა გიორგი მიხეილის-ძე	— ფეხბურთელი
37. ქვლივიძე ლიანა ალექსანდრეს ასული	— კალათბურთელი
38. ქოჩლაძე რიმა ილიას ასული	— მძლეოსანი
39. ქორიძე ავთანდილ გიორგის ძე	— მოჭიდავე
40. შალიბაშვილი თენგიზ ლუარსაბის-ძე	— მოტოციკლისტი
41. ჩიმიშკიანი რაფიელ არკადის ძე	— ძალოსანი
42. ცალქალამანიძე კოსტანტინე გიორგის-ძე	— მოტოციკლისტი
43. ცომაია დავით პავლეს-ძე	— ფეხბურთის სახელმწიფო მწვრთნელი
44. ძიკონსკი ლევ ვიქტორის-ძე	— კალათბურთის მწვრთნელი
45. ჭილაია გიორგი ნესტორის-ძე	— ტანვარჯიშის მწვრთნელი
46. ხამხაძე სოლომონ დავითის-ძე	— ნიჩბოსანი
47. ხოლოდოკი ოლეგ მიხეილის-ძე	— მძლეოსანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 30 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. ბრძანებულება საქართველოს ოლქის სასაზღვრო ჯარის სამხედრო მოსამსახურეთა დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავთან დაკავშირებით და სახელმწიფო საზღვრის დაცვაში ხანგრძლივი და უმწიკვლო სამსახურისათვის დაჯილდოდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. ანდრეიჩენკო ვასილ ივანეს ძე — უფროსი ლეიტენანტი
2. გატკაშვილი ივანე გიორგის ძე — კაპიტანი
3. გოგბერაშვილი მიხეილ კოსტანტინეს-ძე — კაპიტანი
4. გოლოვი იური თეოდორეს-ძე — სერჟანტი
5. გრიგორიევი ვალენტინ სიმონის-ძე — კაპიტანი
6. დემიდოვი მიხეილ ივანეს-ძე — უფროსი ლეიტენანტი
7. ვოლინი პავლე ივანეს-ძე — მიჩმანი
8. ვოროტკო პავლე ზინოვის-ძე — უფროსი ლეიტენანტი
9. ზიბინი სერგი ივანეს ძე — I სტატიის ზემდეგი
10. ივანუშჩენკო გრიგოლ ვასილის-ძე — კაპიტანი
11. კარპენკო გაბრიელ პეტრეს-ძე — მაიორი
12. კვიტჩენკო ნიკოლოზ პროკოფის-ძე — მესამე რანგის კაპიტანი
13. კონოვალოვი ივანე დემიანის-ძე — მიჩმანი
14. კოზკა ალექსი ივანეს-ძე — უფროსი ლეიტენანტი
15. კოროვიაკოვსკი ივანე ათანასეს-ძე — უფროსი ლეიტენანტი
16. კრიუჩკოვი ივანე ილარიონის-ძე — I სტატიის ზემდეგი
17. კუკლა ნიკოლოზ ეგნატეს ძე — უფროსი მეზღვაური
18. კრავცოვი გრიგოლ ვასილის ძე — კაპიტანი
19. ლეკიშვილი გაიოზ გიორგის-ძე — კაპიტანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

20. მაისურაძე ალექსანდრე ივანეს-ძე — კაპიტანი
21. მორდვინკოვი იაკობ გრიგოლის-ძე — ზემდეგი
22. პეტროვი ალექსი ანდრიას-ძე — კაპიტანი
23. პისარევი პავლე პეტრეს-ძე — უფროსი მეზღვაური
24. პლისკო ანდრიაბ გრიგოლის-ძე — უფროსი ლეიტენანტი
25. ეივოტიაგინი კოსტანტინე სტეფანეს ძე — კაპიტან-ლეიტენანტი
26. რეზნიკი ივანე პეტრეს ძე — ლეიტენანტი
27. სვირიდოვი იაგორ ვასილის-ძე — უფროსი ლეიტენანტი
28. სურმავა ირაკლი დიმ^ეტრის-ძე — პოლკოვნიკი
29. შერსტნევი ვიქტორ იაკობის-ძე — უფროსი ლეიტენანტი
30. იშუიკო იური ალექსანდრეს-ძე — კაპიტან-ლეიტენანტი
31. ჯანჯალაშვილი გურამ გიორგის-ძე — რიგითი ჯარისკაცი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1957 წ. 4 ნოემბერი.

7. ბრძანებულება საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავთან დაკავშირებით და სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში ხანგრძლივი მუშაობისა და დამსახურებისათვის მიენიჭოს საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება:

1. აბდუშელიშვილს ადამ გიორგის-ძეს — საჩხერის საავადმყოფო —პოლიკლინიკური გაერთიანების თერაპევტიული განყოფილების გამგეს
2. აზნაუროვას ეკატერინე ნიკოლოზის ასულს — ახალციხის რაიონული საავადმყოფოს თერაპევტიული განყოფილების გამგეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. აშიმლი აშიმ ალი ოღლის — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების სამკურნალო-პროფილაქტიკური სამმართველოს უფროს ინსპექტორს

4. არჩვაძეს თამარ ვლადიმერის ასულს — ამბროლაურის რაიონის სოფელ ლიხეთის ამბულატორიის გამგეს

5. ანიკაშვილს ვლადიმერ გრიგოლის-ძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების და კურორტების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეს

6. ბარათაშვილს ანაპოდისტე ნიკოლოზის-ძეს — ქ. ქიათურის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების მთავარი ექიმის მოადგილეს

7. ბარნაბიშვილს კირილე ივანეს-ძეს — თბილისის ქალაქის პირველი საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგეს

8. ბრეგვაძეს გრიგოლ ავქსენტის-ძეს — ქიათურის რაიონის სოფელ ქვაციხის უბნის საავადმყოფოს გამგეს

9. გეგიას ლუბა კონსტანტინეს ასულს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დედათა და ბავშვთა დახმარების სამკურნალო-პროფილაქტიკური სამმართველოს უფროსს

10. გელაშვილს ბარბარე გაბრიელის ასულს — ქ. თბილისის მეორე საშობიარო სახლის მთავარ ექიმს

11. გეორგიანოვა — ბილანოვას ევგენია ანდრიას ასულს — ქ. თბილისის № 7 სამკერვალო ფაბრიკის ჯანპუნქტის გამგეს

12. გერსამიას ვლადიმერ სიმონის ძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარ თერაპევტს

13. გოდერძიშვილს ელენე ნიკოლოზის ასულს — ქ. თბილისის მეშვიდე სტომატოლოგიური პოლიკლინიკის მთავარ ექიმს

14. დავითაშვილს შალვა ივანეს-ძეს — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების მთავარ რენტგენოლოგს

15. დიასამიძეს ავნი მემედის-ძეს — აჭარის ასსრ რესპუბლიკური საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგეს

16. ვართაზაროვს გიორგი სტეფანეს-ძეს — ახალქალაქის სამშობიარო სახლის მთავარ ექიმს

17. ვეშაპელს ნინო გიორგის ასულს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო კვლევითი ფსიქიატრიული ინსტიტუტის ბ-ვშვთა განყოფილების გამგეს

18. ზურმუხტაშვილს თამარ გიორგის ასულს — ქ. რუსთავის სამშობიარო სახლის მთავარ ექიმს

19. თოხაძეს არჩილ არსენის-ძეს — ქ. გორის საავადმყოფოს თერაპევტიული განყოფილების გამგეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

20. ოსავა ორესტი — ცხაკაიას რაიონის ვენდიპანსერის სტა-
პროხორის-ძეს ციონარის გამგეს
21. ოსელიანს კლიმენტი — ქუთაისის ქალაქის პირველი საავადმყო-
გრიგოლის ძეს ფოს ინფექციური განყოფილების გამგეს
22. კალანდაძეს ფილიპე — ამერკავკასიის რკინიგზის კლინიკური
სერაფიონის-ძეს საავადყოფოს ექიმ-გინეკოლოგს
23. კასუმოვს კონსტანტინე — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სა-
ნიკოლოზის-ძეს მინისტროს სამეურნეო განყოფილების
მედიცინის სამსახურის სტაციონარის
უფროსს
24. კახიანს ვალერიან — აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის სოფელ
ბესარიონის-ძეს ქვემობარგების საექიმო უბნის გამგეს
25. კახიანს შალვა — ქ. თბილისის სანიტარულ ეპიდემიური
ვიქტორის-ძეს სადგურის მთავარ ექიმს
26. კვანტალიანს ილია — ქ. თბილისის პირველი სამშობიარო სახ-
დავითის-ძეს ლის მთავარ ექიმს
27. კირვალიძეს ივანე — გურჯაანის რაიონის მშრომელთა დეპუ-
ნიკოლოზის-ძეს ტატების საბჭოს აღმასკომის ჯანმრთე-
ლობის დაცვის განყოფილების გამგეს
28. კორძახიას ილია — ქ. ფოთის საავადმყოფო-პოლიკლინიკური
გიორგის-ძეს გაერთიანების უბნის პედიატრს
29. ლაკობას ეკატერინე — აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკური საავად-
მიხეილის ასულს მყოფოს ფიზიოთერაპევტს
30. მაისურაძეს ვახტანგ — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამი-
იოსების-ძეს ნისტროს სამეურნეო განყოფილების მე-
დიცინის სამსახურის უფროს სანიტარულ
ინსპექტორს
31. მირზაშვილი—ჩოფიკაშვილს — ქ. თბილისის ბავშვთა მესამე საავადმყო-
ოლღა ივანეს ასულს ფოს ექიმ-პედიატრს, ამჟამად პენსიონერს
32. მგელაძეს ზინაიდა — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის და-
ანტონის ასულს ცვის სამინისტროს ექიმთა დახელოვნე-
ბის თბილისის ინსტიტუტის ონკოლო-
გიის კათედრის ასისტენტს, ამჟამად
პენსიონერს
33. მგელაძეს ქეთევან — მახარაძის რაიონის სამშობიარო სახლის
ალექსანდრეს ასულს მთავარ ექიმს
34. ნანოვსკაიას სოფიო — ქ. რუსთავის ბავშვთა საავადმყოფოს
გრიგოლის ასულს უფროს ორდინატორს
35. ნასლედიშვილს ოლღა — ქ. თბილისის მე-16 პოლიკლინიკის ექიმ-
ივანეს ასულს ოკულისტს
36. პაპუნაშვილს ნატალია — ქობულეთის სამშობიარო სახლის ექიმ-
ახმედის ასულს ორდინატორს
37. სიჭინავას ანტონ — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაც-
ილარიონის-ძეს ვის სამინისტროს დედათა და ბავშვთა
დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტის დირექტორის მოადგილეს სამეცნიერო ნაწილში

38. სურმავას სალომე თომას ასულს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ბაკურიანის ბავშვთა სანატორიუმის მთავარ ექიმს

39. ტერ-მინასოვს მაკარ აბელის ძეს — ქ. ბათუმის პოლიკლინიკის მთავარ ექიმს

40. უგრეხელიძეს ვალენტინ ლეონტის-ძეს — ხაშურის რაიონული საავადმყოფოს თერაპევტიული განყოფილების გამგეს

41. ფალავანდიშვილს ირაკლი ვასილის-ძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მე-4 სამმართველოს საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილეს

42. ფხოველიშვილს სოფიო ისაკის ასულს — სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის საექიმო უბნის გამგეს

43. ქავთარაძეს ბარბარე ათანასეს ასულს — თბილისის საქალაქო სანიტარულ-ეპიდემიური სადგურის ექიმ-ეპიდემიოლოგს

44. ღლონტს შალვა გრიგოლის-ძეს — თბილისის ქალაქის პირველი საავადმყოფოს მთავარ ექიმს

45. შავგულიძეს თამარ ვლადიმერის ასულს — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეურნეო განყოფილების სამეცნიერო სამსახურის ექიმ-ორდინატორს

46. შველიძეს გიორგი ლავრენტის-ძეს — ბათუმის ნავსადგურის მეზღვაურთა საავადმყოფოს მთავარ ექიმს

47. ცეცხლაძეს ეკატერინე მელიტონის ასულს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სამეურნეო განყოფილების სამედიცინო სამსახურის პოლიკლინიკის ექიმ-სტომატოლოგს

48. ცინცაბაძეს ვალერიან დიმიტრის-ძეს — აფხაზეთის ასსრ გულრიფშის რაიონის ლენინის სახელობის სანატორიუმის მთავარ ექიმს

49. ცქიტიშვილს ვახტანგ პეტრეს-ძეს — ხაშურის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგეს

50. ჭიჭიშვილს ნეოფიტე დიომიდეს-ძეს — ქ. თბილისის მე-2 სამედიცინო სასწავლებლის დირექტორს

51. ხევსურიანს ოქროპირ აბესალომის-ძეს — აბასთუმნის საკურორტო სამმართველოს სანატორიუმ „ზეკარის“ მთავარ ექიმს

52. ხელიძეს ალექსანდრე თადეოზის-ძეს — საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

53. ჯატიევს ივანე მიხეილის-ძეს — სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის საოლქო საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 4 ნოემბერი.

8. ბრძანებულება საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

დაინიშნოს საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნები კვირას, 1957 წლის 22 დეკემბერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 15 ნოემბერი.

9. მახარაძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ინიციატივის შესახებ რაიონის ცენტრისა და სოფლების კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის და კეთილმოწყობის საქმეში

მოისმინა რა მახარაძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. დ. ხ. სამაშვილის მოხსენება მახარაძის რაიონის ცენტრისა და სოფლების კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისა და კეთილმოწყობის სამწლიანი გეგმის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მახარაძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ინიციატივა, რომლის მიზანია რაიონის მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, მოლიანად და სავსებით შეესაბამება სკკპ XX ყრილობის მიერ დასახულ ამოცანებს.

ანიჭებს რა მახარაძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ინიციატივას განსაკუთრებულ მნიშვნელობას, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. მოწონებულ იქნას მახარაძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ინიციატივა რაიონის ცენტრისა და სოფლების კულტურულ-საყოფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრებო მშენებლობისა და კეთილმოწყობის სამწლიანი გეგმის მიღების საქმეში (1958—1960 წ. წ.).

2. ერჩიოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო და რაიონულ საბჭოებს გამოეხმაურონ მახარაძის რაიონის ინიციატივას, შეისწავლონ რაიონის და სოფლის ეკონომიური შესაძლებლობანი და დასახონ სათანადო ღონისძიებანი მომავალი სამი წლის განმავლობაში რაიონული ცენტრების და სოფლების კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისა და კეთილმოწყობის შემდგომი განვითარებისათვის.

3. კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის და კეთილმოწყობის საქმეში დასახულ ღონისძიებათა შესახებ ინფორმაცია წარმოუდგინონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 21 ნოემბერი.

10. ბრძანებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს შესახებ.

2. შეტანილ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიის განსახილველად წინადადება საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 94 და 97 მუხლების ცვლილების შესახებ.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სასოფლო საბჭოების დებულება, დამტკიცებული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1932 წლის 13 მარტის დადგენილებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 21 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებულება

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს შესახებ

(დამტკიცებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 1957 წლის 21 ნოემბერს)

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭო, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 84 მუხლის საფუძველზე, არის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო სოფლად.

მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 85 მუხლის შესაბამისად, ირჩევენ სოფლის მშრომელები ორი წლის ვადით.

სასოფლო საბჭოს არჩევნების ჩატარების წესს განსაზღვრავს „დებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სოფლის, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების შესახებ“.

მუხლი 2. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის კონსტიტუციით, საქართველოს სსრ კონსტიტუციით, კანონებით, ბრძანებულებებით, ზემდგომი ორგანოების დადგენილებებით, გადაწყვეტილებებით და განკარგულებებით, იღებს გადაწყვეტილებებს და გამოსცემს განკარგულებებს მისთვის კანონით მინიჭებული უფლებების ფარგლებში.

მუხლი 3. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭო, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 89 მუხლის შესაბამისად, ხელმძღვანელობს და კონტროლს უწევს კულტურულ-პოლიტიკურ და სამეურნეო მშენებლობას თავის ტერიტორიაზე, აწესებს სასოფლო ბიუჯეტს, უზრუნველყოფს სახელმწიფო წესრიგის დაცვას, ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას, უზრუნველყოფს კანონების შეცრულებას და მოქალაქეთა უფლებების დაცვას.

მუხლი 4. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭო:

ა) ასრულებს რა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს, იზიდავს მშრომელ მასებს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, უზრუნველყოფს მშრომელთა ფართო მონაწილეობას სახელმწიფოს მართვაში, ზრუნავს მშრომელთა საარსებო საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის და ხელს უწყობს იმ ღონისძიებათა შესრულებას, რომლებსაც სახელმწიფო ორგანოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე ახორციელებენ;

ბ) ხელმძღვანელობს მისდამი დაქვემდებარებული დაწესებულებებისა და საწარმოების, აგრეთვე სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე არსებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოოპერაციული ორგანიზაციების საქმიანობას მოქმედი კანონების შესაბამისად;

გ) თვალყურს ადევნებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ზემდგომი ორგანოებისადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ სახელმწიფო დაწესებულებათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საწარმოთა საქმიანობას, უფლება აქვს მოისმინოს ამ დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების მოხსენებანი მათი მუშაობის შესახებ და ურჩიოს მათ ღონისძიებანი მათი საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, ხოლო საჭირო შემთხვევაში დააყენოს შესაბამისი ზემდგომი ორგანოს წინაშე საკითხი მათი მუშაობის შესახებ;

დ) გამოსცემს სავალდებულო გადაწყვეტილებებს და აწესებს მათი დარღვევისათვის პასუხისმგებლობას კანონით გათვალისწინებული წესით და მის ფარგლებში;

ე) განიხილავს და ამტკიცებს სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმას;

ვ) განიხილავს რაიონული, საოლქო, რესპუბლიკური და საერთო საკავშირო მნიშვნელობის საკითხებს და თავის წინადადებებს წარუდგენს ზემდგომ ორგანოებს.

მუხლი 5. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭო სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით და აქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული ნიმუშის ღერბიანი ბეჭედი.

მუხლი 6. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი შეიძლება გაუქმებულ იქნეს მშრომელთა დეპუტატების ზემდგომი საბჭოს მიერ და შეიძლება შეჩერებულ იქნეს მშრომელთა დეპუტატების ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ.

მუხლი 7. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების საქმიანობას ავტონომიურ რესპუბლიკებში განსაზღვრავს დებულება შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს შესახებ.

თავი II

მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს უფლებები და მოვალეობანი

მუხლი 8. დაგეგმვის, აღრიცხვისა და სტატისტიკის დარგში მშრომელთა დეპუტატებ-ს სასოფლო საბჭო:

ა) შეიმუშავებს და ამტკიცებს სოფლის სამეურნეო, კულტურული, საბინაო და საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმებს და უზრუნველყოფს მათ შესრულებას;

ბ) ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის სამუშაო გეგმებს;

გ) ამტკიცებს სასოფლო საბჭოს უშუალო გამგებლობაში მყოფ დაწესებულებათა და საწარმოთა ოპერატიული გეგმებს, თვალყურს ადევნებს და კონტროლს უწევს დამტკიცებული გეგმების განხორციელებას და იღებს ზომებს მათი შესრულების უზრუნველსაყოფად;

დ) თვალყურს ადევნებს მისდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებებში, საწარმოებსა და კოლმეურნეობებში აღრიცხვისა და ანგარიშგების მდგომარეობას და იღებს ზომებს ამ საქმის ჯეროვნად დაყენებისათვის;

ე) იღებს ზომებს, რათა ზემდგომი ორგანოების დადგენილებებისა და განკარგულებების თანახმად წარმატებით ჩატარდეს ერთდროული სტატისტიკური აღწერები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) აწარმოებს მოსახლეობის აღრიცხვას, საკომლო წიგნებს და დადგენილი წესის მიხედვით წარუდგენს ანგარიშებს ზემდგომ ორგანოებს.

მუხლი 9. სოფლის მეურნეობის დარგში მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭო:

ა) ეხმარება კოლმეურნეობებს საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებაში, იღებს ზომებს მეჩიაიობის, მევენახეობის, მებაღეობის, მეთამბაქოობის, ციტრუსოვანი კულტურების, მეაბრეშუმეობის, მემინდვრეობისა და მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, კოლმეურნეთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისათვის;

ბ) პერიოდულად ისმენს კოლმეურნეობათა გამგეობების მოხსენებებს სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმების შესრულების შესახებ, სასოფლო სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ და სხვა საკითხებზე, შეაჩერებს კოლმეურნეობათა გამგეობებისა და კოლმეურნეთა საერთო კრებების უკანონო გადაწყვეტილებების შესრულებას და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს მშრომელთა დეპუტატების ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს;

გ) კონტროლს უწევს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების განხორციელებას, მიწათსაკარგებლობის კანონმდებლობის, კოლმეურნეთა საკარმიდამო მიწის ხაკვეთების ნორმების და მათ პირად საკუთრებაში არსებული პირუტყვის ნორმების დაცვას, იღებს ზომებს კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების, ქონების, ფულადი და ნატურალური შემოსავლის ყოველგვარი ხელყოფისაგან დასაცავად და კონტროლს უწევს კოლმეურნეობათა ქონებისა და შემოსავლის პირდაპირი დანიშნულებით გამოყენებას;

დ) ხელს უწყობს საბჭოთა მეურნეობების მუშაობას, ისმენს სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე არსებული საბჭოთა მეურნეობების დირექტორებისა და საბჭოთა მეურნეობების განყოფილებათა გამგეების მოხსენებებს საწარმოო გეგმების შესრულებისა და მუშათა და მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების შესახებ;

ე) ხელს უწყობს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობას, თვალყურს ადევნებს მტს-ებსა და კოლმეურნეობებს შორის დადებული ხელშეკრულებების შესრულებას, იღებს ზომებს ამ ხელშეკრულებათა დარღვევის აღსაკვეთად და საჭირო შემთხვევაში შეაქვს სათანადო წინადადება რაიონული ორგანიზაციების განსახილველად;

ვ) კონტროლს უწევს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და ცალკეული მოქალაქეების მიერ ვეტერინარული და ზოოტექნიკური წესების დაცვას, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლებთან და ეპიზოოტიებთან ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელებას;

ზ) აწარმოებს ბრძოლას კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ მეურნეობებში ნათესთა გაფუჭებისა და ნარგავთა დაზიანების წინააღმდეგ და მატერიალურ პასუხისმგებლობას აკისრებს ამ საქმეში დამნაშავე პირებს;

თ) ორგანიზაციას უკეთებს კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა, ბრიგადებსა და ფერმებს შორის სოციალისტურ შეჯიბრებას სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლის მიღებისა და მეცხოველეობის მაღალი პროდუქტიულობისათვის, აწყობს სოფლის მეურნეობაში მოწინავეთა გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცდილებას და მეცნიერების მიღწევების პროპაგანდას და დანერგვას, აგრეთვე ხელს უწყობს კოლმეურნეთათვის და საბჭოთა მეურნეობების მუშებისათვის აგროტექნიკური და ზოოტექნიკური სწავლების მოწყობას;

ი) უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმების შესრულებას, ეხმარება დამამზადებელ ორგანიზაციებს საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვის გეგმების შესრულებაში;

კ) ხელს უწყობს სოფლის ელექტროსადგურების მშენებლობას და დასახლებული პუნქტების ელექტროფიკაციას;

ლ) ხელს უწყობს წყალთა მეურნეობის ღონისძიებების განხორციელებას, სარწყავი და დამშრობი არხების გაწმენდას და წყალდიდობის საწინააღმდეგო ღონისძიებების დროულად განხორციელებას;

მ) კონტროლს უწევს წყალსარგებლობის დარგში მოქმედი კანონმდებლობის სწორად განხორციელებას.

მუხლი 10. სატყეო მეურნეობის დარგში მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭო:

ა) კონტროლს უწევს სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეების, საკოლმეურნეო ტყეებისა და ტყის ნარგავთა დაცვას;

ბ) ხელს უწყობს უტყეო და მცირეტყიანი ფართობების გატყეევებას და ქარსაცავი და მინდორსაცავი ნარგავების გაშენებას;

გ) ეხმარება სატყეო მეურნეობის ორგანოებს ტყის ხანძართან, მავნებლებთან და ავადმყოფობასთან ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელებაში;

დ) კონტროლს უწევს ბუნებრივი სიმდიდრეებისა და ნაკრძალების დაცვას, ნადირობის და მეთევზეობის წესების შესრულებას და აწარმოებს ბრძოლას ქურდულად ნადირობა-თევზაობის წინააღმდეგ;

ე) ეხმარება მუშაობაში ნებაყოფლობითს საზოგადოება „ტყის მეგობარს“.

მუხლი 11. მრეწველობის დარგში მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭო:

ა) კონტროლს უწევს სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე არსებულ ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა მუშაობას, ისმენს მოხსენებებს მათი საწარმოო საქმიანობის შესახებ, მუშათა და მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების შესახებ;

ბ) ხელს უწყობს სარეწაო არტელების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებას, მათ წარმოებაში ახალი ტექნიკის დანერგვას და ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებას;

გ) ხელს უწყობს საშენი მასალებისა და ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებას ადგილობრივი ნედლეულისა და სათბობის ბაზაზე;

დ) ხელს უწყობს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელოსნოების მშენებლობას და გაფართოებას და სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადაამუშავებას;

ე) ახორციელებს ღონისძიებებს სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა მუდმივი და სეზონური მუშახელით უზრუნველყოფისათვის.

მუხლი 12. ვაჭრობის დარგში მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭო:

ა) ხელს უწყობს სოფლად სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის განვითარებას, თვალყურს ადევნებს სავაჭრო ქსელის სწორად განლაგებას;

ბ) ხელს უწყობს სამომხმარებლო კოოპერაციის განვითარებას და განმტკიცებას, ქონების დაცვას, სამომხმარებლო კოოპერაციაში ახალი წევრების მიზიდვას, საპაიო შესატანის შეგროვებას და საზოგადოებრივი კონტროლის მუშაობის გაუმჯობესებას;

გ) ხელს უწყობს საზოგადოებრივი კვების ქსელის განვითარებას, საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლას, საკოლმეურნეო ბაზრების მოწყობას და კეთილმოწყობას;

დ) კონტროლს უწევს საბჭოთა ვაჭრობის წესების დაცვას, სავაჭრო ქსელში კულტურულ მომსახურებას, აწარმოებს ბრძოლას სპეკულიაციასთან.

მუხლი 13. კეთილმოწყობისა და საგზაო მშენებლობის დარგში მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭო:

ა) ხელმძღვანელობს დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობას, ამტკიცებს დასახლებული პუნქტების განაშენიანების გეგმებს და ახორციელებს კონტროლს მათი შესრულებისადმი, თვალყურს ადევნებს საცხოვრებელი სახლების, საეზოე ნაგებობათა და სხვათა წესიერ მდგომარეობაში შენახვას;

ბ) აწყობს წყალსადენების, აბანოების, ხიდების, ადგილობრივი ინიშნულობის გზების მშენებლობას და უზრუნველყოფს კანონით დაწესებულ მოსახლეობის შრომითს მონაწილეობას საგზაო მშენებლობაში; თვალყურს ადევნებს რესპუბლიკური მნიშვნელობის გზების წესიერ მდგომარეობაში შენახვას;

გ) რაზმავს სოფლის მოსახლეობას დასახლებული პუნქტებისა და გზების გასაძწყანებლად, ბაღებისა და პარკების გასაშენებლად, თვალყურს ადევნებს ნარგავთა დაცვა-შენახვას;

დ) უზრუნველყოფს სასაფლაოებისა და ძმათა საფლავების ჯეროვან მდგომარეობაში შენახვას;

ე) თვალყურს ადევნებს ქუჩების, ეზების, წყალსატევების, აბანოებისა და ბაზრებ.ს სანიტარულ მდგომარეობას.

მუხლი 14. საბიუჯეტო-საფინანსო მუშაობის დარგში მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭო:

ა) ამტკიცებს სასოფლო ბიუჯეტს და ანგარიშს მისი შესრულების შესახებ;

ბ) ამტკიცებს სასოფლო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვებს;

გ) ხელმძღვანელობს დამტკიცებული სასოფლო ბიუჯეტის შესრულებას, დაქვემდებარებულ საწარმოთა, სამეურნეო ორგანიზაციათა და საბიუჯეტო დაწესებულებათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას, განიხილავს და ამტკიცებს მათ ბალანსებსა და ანგარიშებს;

დ) კონტროლს უწევს კოლმეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების მიერ გადასახადების, სადაზღვევო და სხვა სახის გადასახდელების დროულად გადახდას, უზრუნველყოფს მოსახლეობისაგან გადასახადებისა და სხვა გამოსაღებების შემოსავალს და ეწევა მუშაობას ფულის მისაღებად; უზრუნველყოფს ფულადი სახსრების დაცვას და მათ დროულად ჩაბარებას სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში;

ე) უზრუნველყოფს სასოფლო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებების დროულად დაფინანსებას, გაცემული სახსრების სწორად გამოყენებას, აგრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვე ამ დაწესებულებათა მუშაკებისათვის ხელფასის დაწესებულ ვადებში მიცემას;

ვ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აწყობს მოსახლეობის თვითდაბეგვრას, უზრუნველყოფს თვითდაბეგვრის სახსრების შემოსვლას და სწორად გამოყენებას, ინგარიშს აბარებს მოსახლეობას მათი ხარჯვის შესახებ;

ზ) ხელს უწყობს სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროების მუშაობას;

თ) იღებს ზომებს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის გადასახდელთა შეგროვების უზრუნველსაყოფად; ხელს უწყობს ყველა სახეობის ნებაყოფლობითი დაზღვევის განვითარებას;

ი) სასოფლო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გადაჭარბებით შესრულებისას ბიუჯეტის გადამეტებით შემოსულ სახსრებს იყენებს დამატებითი ხარჯების გასაწევად, იმ პირობით, რომ არ გადადდეს ხელფასის თანხები და აპარატის შენახვის ხარჯები.

მუხლი 15. კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის დარგში მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭო:

ა) ხელმძღვანელობს მისდამი დაქვემდებარებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების (ბიბლიოთეკების, წითელი კუთხეების, სასოფლო კლუბების) მუშაობას, ამტკიცებს ამ დაწესებულებათა გამგეებს, კონტროლს უწევს კოლმეურნეობათა კულტურის სახლების, კლუბების, ბიბლიოთეკების მუშაობას;

ბ) უზრუნველყოფს სასოფლო ბიუჯეტზე მყოფ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს სათბობით, განათებით, ინვენტარით; აწარმოებს მათი შენობების რემონტს; ხელს უწყობს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ახალი შენობების აგებას და კონტროლს უწევს სასოფლო საბჭოსადმი დაქვემდებარებული სასოფლო კლუბებისა და კულტურის სახლების სპეციალური სახსრების სწორად გამოყენებას;

გ) აწყობა მოსახლეობისათვის სამეცნიერო საგანმანათლებლო მოხსენებებს, ლექციებს და საუბრებს, ხელს უწყობს საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა სასოფლო ჯგუფების მუშაობას, იღებს ზომებს მოსახლეობის რეგულარული კინომომსახურებისათვის; ხელს უწყობს ხალხური შემოქმედებისა და ხელოვნური თვითმოქმედების განვითარებას, წიგნის ვაჭრობის განვითარებას, გაზეთებისა და ჟურნალების გავრცელებას სოფლად;

დ) თვალყურს ადევნებს სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე არსებულ კულტურის ძეგლების, ისტორიული ძეგლებისა და ნაკოძალების დაცვას.

მუხლი 16. სახალხო განათლების დარგში მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭო:

ა) ახორციელებს კანონს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შესახებ, კონტროლს უწევს სკოლების, სასკოლო ინტერნატების, სამაგვარო სახლებისა და ბაღების მუშაობას;

ბ) ხელს უწყობს შრომითი აღზრდისა და პოლიტექნიკური სწავლების ორგანიზაციას და მოსწავლეთა მომზადებას პრაქტიკული საქმიანობისათვის, ხელს უწყობს სოფლის ახალგაზრდობის შერჩევას სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლებში, სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებში, საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში შესასვლელად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) აღრიცხავს სასკოლო ასაკის ბავშვებს და მოზარდებს, თვალყურს ადევნებს სკოლებში მათ სრულად ჩაბმას, განაგებს უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა მეურვეობისა და პატრონობის საქმეს, უზრუნველყოფს მათი მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას;

დ) ხელს უწყობს კოლმეურნეობათა საბავშვო ბაღების გახსნას და სკოლამდელ დაწესებულებათა სეზონური ქსელის გაშლას;

ე) უზრუნველყოფს სასოფლო ბიუჯეტზე მყოფ სკოლებს და სკოლამდელ საბავშვო დაწესებულებებს საჭირო სათბობით, განათებით და ინვენტარით;

ვ) ახორციელებს ღონისძიებებს სკოლების მატერიალური ბაზის გასაუმჯობესებლად (ახალი შენობებისა და სასპორტო მოედნების აგება, სასკოლო შენობების რემონტი, ინვენტარის შეძენა და სხვ.);

ზ) ხელს უწყობს სასკოლო მიწის ნაკვეთების გამოყოფას და დამუშავებას;

თ) ზრუნავს დაწყებითი, არასრული და საშუალო სკოლების მასწავლებელთა საყოფაცხოვრებო მოწყობისათვის (უფასო ბინების მიცემა, განათებით, გათბობით უზრუნველყოფა და ა. შ.);

ი) განიხილავს და ამტკიცებს სასოფლო ბიუჯეტზე მყოფ სახალხო განათლების დაწესებულებათა საფინანსო გეგმებს, კონტროლს უწევს ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნობების სწორად გამოყენებას.

მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვის დარგში მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭო:

ა) კონტროლს უწევს სოფლის სამკურნალო და საბავშვო დაწესებულებების (საავადმყოფოების, სამედიცინო და საფერშლო-სამეანო პუნქტების, სამშობიაარო სახლების, საბავშვო ბაგების) მუშაობას;

ბ) ამტკიცებს სასოფლო საბჭოს გამგეობაში მყოფი სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელებს;

გ) ეხმარება კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს და სხვა ორგანიზაციებს მუდმივი და სეზონური საბავშვო ბაგების ქსელის გაფართოებაში და კონტროლს უწევს მათ მუშაობას;

დ) ახორციელებს ღონისძიებებს ეპიდემიური დაავადებების თავიდან ასაცილებლად და მათთან საბრძოლველად, თვალყურს ადევნებს სასადილოების, მაღაზიების, ბაზრების, საპარიკმახეროების, აბანოების და სხვათა სანიტარულ მდგომარეობას;

ე) ეხმარება ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს მოსახლეობაში სანიტარულ-პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარებაში და სანიტარულ-საგანმანათლებლო ცოდნის გავრცელებაში;

ვ) უზრუნველყოფს სასოფლო ბიუჯეტზე მყოფ სამკურნალო დაწესებულებებს საათბობით, განათებით და ინვენტარით, აწყობს ამ დაწესებულებათა შენობების რემონტს და ხელს უწყობს სამკურნალო დაწესებულებების მშენებლობას.

მუხლი 18. ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭო:

ა) ხელს უწყობს მოსახლეობაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრივ განვითარებას და ეხმარება მუშაობაში სასოფლო სპორტულ საზოგადოებებს;

ბ) კონტროლს უწევს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მტს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებისა და სხვა ორგანიზაციების მუშაობას ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში;

გ) ხელს უწყობს სასპორტო ბაზებისა და მარტივი ტიპის სასპორტო ნაგებობათა შეშენებლობას და რემონტს, ამ საქმეში ფართო საზოგადოებრიობის ჩაბმით.

მუხლი 19. სოციალური უზრუნველყოფის დარგში მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭო:

ა) აღრიცხავს სოციალური უზრუნველყოფის უფლების მქონე პირებს, ხელს უწყობს მოხუცებულებისათვ ს, უმარჩენალოდ დარჩენილებისათვის, ომისა და შრომის ინვალიდებისათვის, სამხედრო მოსამსახურეთა და დაღუპულ მებრძოლთა ოჯახებისათვის, მრავალშვილიან და მარტოხელა დედებისათვის დახმარებისა და პენსიების დროულად დანიშვნის და გაცემას;

ბ) ახორციელებს ინვალიდთა, პენსიონერთა და მოხუცებულ კოლმეურნეთათვის კანონით დაწესებულ შეღავათებს;

გ) აწყობს მზრუნველობას იმ სრულწლოვანებზე, რომლებსაც თავიანთი ფიზიკური მდგომარეობით არ შეუძლიათ დაიცვან თავიანთი უფლებები (უსინათლონი, ყრუმუნჯები და სხვ.) და სათანადო შემთხვევებში, მეურვეობას იმ პირთა ქონებისადმი, რომლებიც უკვალოდ დაიკარგნენ ან გარდაიცვალნენ;

დ) ეხმარება შრომითს მოწყობაში ომისა და შრომის ინვალიდებს, სამხედრო მოსამსახურეთა და დაღუპულ მებრძოლთა ოჯახებს;

ე) ახორციელებს ხელმძღვანელობას კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი ურთიერთდახმარების სალარიებისადმი და კონტროლს უწევს მათ მუშაობას.

მუხლი 20. კავშირგაბმულობის დარგში მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭო:

ა) ხელს უწყობს კავშირგაბმულობის დაწესებულებათა მუშაობას, იღებს ზომებს ადგილობრივი კავშირგაბმულობის განვითარებისათვის, ახორციელებს ღონისძიებებს სოფლების, კოლმეურნეობების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების და სხვ. რადიოფიკაციის, ტელეფონიზაციის და ტელევიზიის დარგში;

ბ) ეხმარება კავშირგაბმულობის ორგანოებს ფოსტის გადატანაში და საფოსტო გზავნილების მიწოდებაში;

გ) იღებს ზომებს სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე ტელეგრაფის, ტელეფონისა და რადიოს სახაზო ნაგებობათა დასაცავად და სახაზო ნაგებობათა ავარიის შემთხვევებში ეხმარება კავშირგაბმულობის ორგანოებს კავშირგაბმულობის უსწრაფესად აღდგენაში.

მუხლი 21. სოციალისტური კანონიერების განმტკიცების, საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვის დარგში მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭო:

ა) უზრუნველყოფს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წესრიგის დაცვას, სახელმწიფო დაწესებულებების, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების და მშრომელთა საზოგადოებების უფლებებისა და ინტერესების, აგრეთვე მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვას საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) ჩრდის მშრომელებს სახელმწიფო კანონიერების მტკიცედ დაცვის სულისკვეთებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) გამოუცხადებს და განუმარტავს მოქალაქეებს საბჭოთა მთავრობის კანონებს, დადგენილებებსა და განკარგულებებს;

დ) სათანადო შემთხვევებში ადმინისტრაციულ სასჯელს ადებს დამნაშავეებს სავალდებულო გადაწყვეტილებათა დარღვევისათვის;

ე) ეხმარება მილიციის, პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოებს დამნაშავეობასთან ბრძოლაში და კონტროლს უწევს მილიციის საუბნო რწმუნებულის მუშაობას სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე;

ვ) ახორციელებს სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლის ღონისძიებებს და ეხმარება დაზარალებულებს;

ზ) დადგენილი წესის შესაბამისად და დაწესებულ ვადებში აწარმოებს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების (დაბადების, გარდაცვალების, ქორწინების, გაყრის და შვილად აყვანის) რეგისტრაციას;

თ) ასრულებს სანოტარო ფუნქციებს კანონით დადგენილი წესის მიხედვით;

ი) აწარმოებს კომლთა საოჯახო-ქონებრივი გაყოფის რეგისტრაციას;

კ) იღებს ზომებს ბეითალმანი და უპატრონო ქონების დაცვისათვის;

ლ) აწყობს სახანძრო დაცვას და ახორციელებს ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებს სასოფლო საბჭოს დასახლებულ პუნქტებსა და კოლმეურნეობებში; ქმნის ნებაყოფლობით სახანძრო რაზმებს;

მ) ეხმარება სახალხო განათლების და მილიციის ორგანოებს ბავშვთა უპატრონობასთან და უმეთვალყურეობასთან ბრძოლაში;

ნ) დროულად განიხილავს მშრომელთა განცხადებებსა და საჩივრებს და იღებს მათ გარშემო სათანადო ზომებს;

ო) აძლევს მოქალაქეებს ცნობებს, რომლებიც ადასტურებენ მათ ვინაობას, ოჯახურ, ქონებრივ მდგომარეობას და სხვ.

მუხლი 22. სამხედრო-საყრიცხვო და თავდაცვითი მუშაობის დარგში მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭო:

ა) აწარმოებს კანონით დადგენილ წესის მიხედვით სამხედრო ვალდებულთა და წვევამდელთა აღრიცხვას, ეხმარება რაიონულ სამხედრო კომისარიატს სამხედრო სამსახურისათვის და სასწავლო შეკრებებზე მოქალაქეთა გაწვევის ჩატარებაში;

ბ) თვალყურს ადევნებს საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახებისათვის მინიჭებული შეღავათებისა და უპირატესობათა განხორციელებას და ხელს უწყობს სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა რიგებიდან დემობილიზებულ მოქალაქეთა შრომითს და საყოფაცხოვრებო მოწყობას;

გ) ხელს უწყობს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელმეწყობი სრულიად საკავშირო ნებაყოფლობითი საზოგადოების და საქართველოს სსრ „წითელი ჯვრის“ საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების მუშაობას;

დ) ახორციელებს კონტროლს და ეხმარება საწარმოებს, ორგანიზაციებს და მოსახლეობას ადგილობრივი საჰაერო თავდაცვისათვის მომზადებაში.

თ ა ვ ი III

მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს მუშაობის ორგანიზაცია

მუხლი 23. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 92 მუხლის საფუძველზე მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს სესიებს იწვევს მისი აღმასრულებელი კომიტეტი ორანაკლებ, ვიდრე ერთხელ ორ თვეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასოფლო საბჭოს რიგგარეშე სესია შეიძლება მოწვეულ იქნეს აღმასკომის შეხედულებით ან საბჭოს დეპუტატთა ერთი მესამედის მოთხოვნით; საბჭოს განსახილველად შეტანილი საკითხები, სესიის მოწვევის ადგილი და დრო ეცნობება დეპუტატებს არაუგვიანეს ხუთი დღისა სესიამდე.

მუხლი 24. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს სესია უფლებამოსილია, თუ ესწრება სასოფლო საბჭოს დეპუტატთა საერთო რიცხვის სულ ცოტა ორი მესამედი.

სესიის სხდომების ხელმძღვანელობისათვის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭო არჩევს თავმჯდომარეს და მდივანს.

მუხლი 25. საკითხები სასოფლო საბჭოს სესიის სხდომაზე შეაქვს მის აღმასრულებელ კომიტეტს, აგრეთვე შეიძლება შეტანილ იქნეს საბჭოს მუდმივი კომისიებისა და ცალკეული დეპუტატების მიერ; სესიის გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით და ხმების უბრალო უმრავლესობით.

მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს გადაწყვეტილებებს ხელს აწერენ სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და მდივანი.

სასოფლო საბჭოს სესიის ოქმს ხელს აწერენ სესიის თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 26. სასოფლო საბჭო, საჭიროების შემთხვევაში და მოსახლეობის სურვილის გათვალისწინებით, შეიტანს მშრომელთა დეპუტატების ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში წინადადებას სასოფლო საბჭოს საზღვრების შეცვლის, ადმინისტრაციული ცენტრის გადატანის, დასახლებული პუნქტებისათვის სახელის გადარქმევისა და სხვ. შესახებ.

მუხლი 27. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭო, თავისი უფლებამოსილების ვადით, აირჩევს სამანდატო კომისიას, რომელიც ამოწმებს საბჭოს დეპუტატების უფლებამოსილ ბას. სამანდატო კომისიის წარდგენებით მშრომელთა დეპუტატების სასოფლ.. აბჭო გადაწყვეტს, რომ ან ცნობილ იქნეს უფლებამოსილება, ან გაუქმდეს ცალკეული დეპუტატების არჩევნები.

მუხლი 28. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭო ქმნის, სასოფლო საბჭოს დეპუტატთა რიცხვისა და ადგილობრივი პირობების მიხედვით, თავისი უფლებამოსილების ვადით, მუდმივ კომისიებს, რომლებიც თავიანთი მუშაობის შესახებ ანგარიშს აბარებენ სასოფლო საბჭოს და მოქმედებენ მუდმივი კომისიების დებულების საფუძველზე.

მუხლი 29. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭო მოისმენს და განიხილავს არანაკლებ, ვიდრე ერთხელ 6 თვეში, აღმასრულებელი კომიტეტის ანგარიშს ჩატარებული მუშაობის შესახებ.

მუხლი 30. სასოფლო საბჭოს თვითეული დეპუტატი ვალდებულია აქტიური მონაწილეობა მიიღოს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს მუშაობაში, მუდმივი კავშირი იქონიოს ამომრჩეველებთან, ინფორმაცია მიაწოდოს მათ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და ამომრჩეველთა განაწესებინის შესრულების შესახებ, ამასთან დარაზმოს მოსახლეობის ფართო მასები მათი შესრულებისათვის; პერიოდულად ჩააბაროს ამომრჩევლებს ანგარიში თავისი მუშაობისა და მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს მუშაობის შესახებ.

მუხლი 31. სასოფლო საბჭოს დეპუტატს უფლება აქვს სადეპუტატო მოღვაწეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეკითხვები მისცეს აღმასრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებელ კომიტეტს, აგრეთვე სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე არსებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების. დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, რომლებიც ვალდებული არიან უმოკლეს ვადაში გასცენ პასუხი დეპუტატის შეკითხვაზე.

მუხლი 32. სასოფლო საბჭოს დეპუტატი არ შეიძლება მიცემულ იქნეს სასამართლო პასუხისგებაში და დაპატიმრებულ იქნეს სასოფლო საბჭოს თანხმობის გარეშე, ხოლო სასოფლო საბჭოს სესიიდან სესიამდე—მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თანხმობის გარეშე.

მუხლი 33. სასოფლო საბჭოს დეპუტატი შეიძლება უკან იქნეს გაწვეული ამომრჩეველთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

თავი IV

მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო

მუხლი 34. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო არის აღმასრულებელი კომიტეტი, რომელსაც სასოფლო საბჭო ირჩევს დეპუტატთა რიცხვიდან თავმჯდომარის, მისი მოადგილის, მდივნისა და 2 - 4 წევრის შემადგენლობით.

მუხლი 35. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი წყვეტს თავის ტერიტორიაზე კულტურულ-პოლიტიკური და სამეურნეო მშენებლობის საკითხებს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს და ზემდგომი პარტიული და სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებათა საფუძველზე, გარდა საკითხებისა, რომლებიც აუცილებლად უნდა განიხილოს სასოფლო საბჭოს სესიამ: სასოფლო ბიუჯეტისა და მისი შესრულების ანგარიშის, სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმების, სასოფლო საბჭოსადმი დაქვემდებარებულ კულტურულ-საგანმანათლებლო და სამედიცინო დაწესებულებათა გამგეების დამტკიცება; მტკიცედ იცავს კოლექტიურობის პრინციპს მუშაობაში და არ დაუშვებს, რომ აღმასკომმა გასწიოს საბჭოს მაგივრობა სესიებზე განსახილველი საკითხების გადაჭრაში.

მუხლი 36. აღმასრულებელი კომიტეტი უზრუნველყოფს ყველა ორგანიზაციის, დაწესებულებისა და მოქალაქის მიერ საკონსტიტუციო ნორმების, დებულებების, მოვალეობის, სოციალისტური კანონიერების ზუსტად დაცვას; ხელმძღვანელობს მისდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, ამოწმებს მათ მუშაობას; აწყობს ზემდგომი პარტიული და სახელმწიფო ორგანოების, თავისი საკუთარი გადაწყვეტილებების, აგრეთვე ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებების შესრულებას, ინფორმაციას აწვდის სასოფლო საბჭოს ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებების, წინა სესიების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების შესახებ.

მუხლი 37. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების საფუძველზე და არჩევნების დებულებების შესაბამისად მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ახორციელებს თავის ტერიტორიაზე საკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო ღონისძიებებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების და საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნებთან დაკავშირებით.

მუხლი 38. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი უშუალოდ ანგარიშვალდებულია როგორც მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს, ისე მშრომელთა დეპუტატების ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე.

მუხლი 39. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომები კანონიერია, თუ ესწრება აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

გადაწყვეტილებები მიიღება ხმების უბრალო უმრავლესობით და მათ ხელს აწერენ სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 40. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება და განკარგულება შეიძლება გაუქმდეს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების ზემდგომი საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ.

მუხლი 41. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი იწვევს მოქალაქეთა საერთო კრებებს (ყრილობებს), როგორც მთლიანად სასოფლო საბჭოს მიხედვით, ისე ცალკეული სოფლების მიხედვით, იმ საკითხებზე, რომლებიც სოფლის ცხოვრებას შეეხება.

მუხლი 42. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი უნდა ეხმარებოდეს დეპუტატებს მათ მიერ სადეპუტატო მოვალეობის შესრულებაში, საარჩევნო ოლქების მიხედვით მოსახლეობაში ორგანიზატორული მუშაობის ჩატარებაში, ამომრჩეველთა წინაშე ანგარიშების მომზადებასა და ჩატარებაში, ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებების შესრულებაში, უნდა გააცნოს დეპუტატებს მოქმედი კანონმდებლობა, პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი, აქტიურად ჩააბას დეპუტატები სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების გადაჭრაში.

მუხლი 43. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე აწყობს სასოფლო საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესრულებას, გამოსცემს განკარგულებებს ამ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე არის სასოფლო ბიუჯეტით გათვალისწინებული კრედიტების და სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში ან სახელმწიფო შენახველ სალაროში სასოფლო საბჭოს მიმდინარე ანგარიშის განმკარგველი.

მუხლი 44. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ამზადებს მასალებს სასოფლო საბჭოს და აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებისათვის, პასუხისმგებელია საქმისწარმოების, აღრიცხვისა და ანგარიშგებისათვის, სასოფლო საბჭოს წიგნებისა და დოკუმენტების დაცვა-შენახვისათვის.

მუხლი 45. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ინარჩუნებს თავის უფლებამოსილებას ახლადარჩეული სასოფლო საბჭოს მიერ ახალი აღმასრულებელი კომიტეტის შექმნამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 46. მშრომელთა დეპუტატების ახლადარჩეულ სასოფლო საბჭოს მოიწვევს წინანდელი მოწვევის სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არაუგვიანეს შვიდი დღისა არჩევნების შემდეგ.

11. ბრძანებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო ტექნიკურ კომიტეტს ამიერიდან ეწოდოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტი.

2. შეტანილ იქნას საქართველოს სსრ მორიგ სესიის განსახილველად წინადადება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50 მუხლის სათანადო ცვლილების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 21 ნოემბერი.

12. ბრძანებულება „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორის“ საპატიო წოდების დაწესების შესახებ

1. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა წახალისების მიზნით დაწესდეს საპატიო წოდება „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორი“.

2. საპატიო წოდება „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორი“ მიენიჭება მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, მეცხოველეობის სამანქანო სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების ტრაქტორისტებს, კომბაინერებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს, სამეცნიერო საველე დაწესებულებების, სასწავლებლებისა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაკებს, რომლებმაც იმუშავეს სპეციალობის მიხედვით სულ ცოტა 10 წელიწადი და აქვთ მნიშვნელოვანი დამსახურება სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგში, მოწინავე ტექნიკის ათვისებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მისი დანერგვის საქმეში.

3. დამტკიცდეს დებულება „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორის“ საპატიო წოდების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 21 ნოემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

„საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორის“ საპატიო წოდების შესახებ.

1. „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორის“ საპატიო წოდებას მიანიჭებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი:

მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების იმ ტრაქტორისტებსა და კომბაინერებს, რომლებმაც თავიანთი თავდადებული შრომით განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი და მანქანებით მუშაობისას მიაღწიეს გამომუშავების სეზონური და ცვლის ნორმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას, თუ ამასთან უზრუნველყვეს სამუშაოთა კარგი ხარისხი, საწვავი და საცხები მასალების დაზოგვით ხარჯვა, ტექნიკის გაფრთხილება, ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა მანქანების მაღალნაყოფიერი გამოყენება;

მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების მაღალნაყოფიერ გამოყენებას მთლიანად ბრიგადაში, ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს საუკეთესო აგროტექნიკური ვადებში და კარგი ხარისხით შესრულებას, ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მაღალი მოსავლის მიღებას, საწვავი და საცხები მასალების, სათადარიგო ნაწილებისა და ფუფლი სახსრების დაზოგვით ხარჯვას, სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირებას;

მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებების, სასწავლებლებისა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაკებს, რომლებმაც თავიანთი პრაქტიკული ან მეცნიერული მუშაობით თავი გამოიჩინეს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგში, მაღალკვალიფიციური მექანიზატორული კადრების მომზადებისა და აღზრდის საქმეში, აგრეთვე უზრუნველყვეს მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვა სასოფლო სამეურნეო წარმოებაში.

2. „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორის“ საპატიო წოდების მინიჭება ხდება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სხვა სამინისტროების წარდგინებით.

შუამდგომლობას „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები აღძრავენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების წინაშე, რომლებიც თავიანთ წინადადებებს წარუდგენენ შესაბამის სამინისტროებს.

3. იმ პირებს, რომლებსაც მიენიჭათ „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორის“ საპატიო წოდება, გადაეცემა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი.

4. „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორის“ საპატიო წოდების ჩამორთმევა შეუძლია მხოლოდ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. ბრძანებულება ამხ. ა. ლ. გუნიას ან თავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის თანამდებობისაგან

განთავისუფლდეს ამხ. ავთანდილ ლევანის-ძე გუნია საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის თანამდებობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 23 ნოემბერი.

14. ბრძანებულება ამხ. დ. ი. ჩხიკვიშვილის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრად

დაინიშნოს ამხ. დავით იოსების-ძე ჩხიკვიშვილი საქართველოს სსრ კულტურის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 23 ნოემბერი.

15. ბრძანებულება ამხ. მ. ბ. ღვინჯილიას დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრად

დაინიშნოს ამხ. მიხეილ ბაგრატის-ძე ღვინჯილია საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 27 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. ბრძანებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ზ. ა. კვაჭაძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის თანამდებობისაგან

განთავისუფლდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ზინაიდა არსენის ასული კვაჭაძე საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის თანამდებობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 27 ნოემბერი.

17. ბრძანებულება საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის მუშაკთა დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით

დაჯილდოდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით მილიციის მუშაკები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი რესპუბლიკაში საზოგადოებრივი წესრიგისა და სოციალისტური საკუთრების დაცვის საქმეში:

1. ბელთაძე ამირიდო ფილიპეს-ძე — მილიციის მაიორი
2. გაგუა არსენ პავლეს-ძე — მილიციის მაიორი
3. გენგაური შოთა სიმონის-ძე — მილიციის უფროსი ლეიტენანტი
4. გვენცაძე ვახტანგ ივანეს-ძე — მილიციის ლეიტენანტი
5. გიგოლაევი ვიქტორ დავითის-ძე — მილიციის უფროსი სერჟანტი
6. გიგოლაევი ხარიტონ ასლანის-ძე — მილიციის ზემდეგი
7. გიგოლაშვილი ივანე ბედოს-ძე — მილიციის უფროსი სერჟანტი
8. ელიაროვა თამარ გიორგის ასული — მილიციის უფროსი ლეიტენანტი
9. ვაშაგაშვილი დავით დიმიტრის-ძე — მილიციის ზემდეგი
10. კაზიმოვი მეხრელი გუსეინის-ძე — მილიციის სერჟანტი
11. კაპანაძე ტრიფონ ივანეს-ძე — მილიციის ზემდეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. კონცელიძე ვახტანგ დურსუნის-ძე — მილიციის პოდპოლკოვნიკი
13. კოსიკ ივანე საფრონის-ძე — მილიციის ზემდეგი
14. ლონდარიძე ვლადიმერ მიხეილის-ძე — მილიციის სერჟანტი
15. მაისურაძე ზაქარია ივანეს ძე — მილიციის უფროსი სერჟანტი
16. მალაკმაძე ხემიდ ხასანის-ძე — მილიციის უფროსი სერჟანტი
17. მაღლაკელიძე ოთარ კონსტანტინეს-ძე — მილიციის უფროსი ლეიტენანტი
18. მაჩალაძე გრიგოლ ბესარიონის-ძე — მილიციის კაპიტანი
19. მელიქიძე ალექსანდრე გრიგოლის-ძე — მილიციის უფროსი ლეიტენანტი
20. ოსეფიანი გარიბ მიხეილის-ძე — მილიციის ზემდეგი
21. ორჯონიკიძე დავით მიხეილის-ძე — მილიციის მაიორი
22. სინჯიაშვილი ვლადიმერ დავითის-ძე — მილიციის კაპიტანი
23. სულეიმანოვი მადატ ოსმან ოღლი — მილიციის უფროსი ლეიტენანტი
24. სუჯიაშვილი არსენ ნიკოლოზის-ძე — მილიციის მაიორი
25. ტევონიანი აშოტ სარქისის-ძე — მილიციის პოდპოლკოვნიკი
26. ტიტკოვი ალექსანდრე ათანასეს ძე — მილიციის კაპიტანი
27. ფაცაცია ღუღუნი ჩიტოს-ძე — მილიციის ლეიტენანტი
28. ფუხაშვილი სერგი ილიას-ძე — მილიციის კაპიტანი
29. ყალიჩავა დანიელ ფარნაოზის-ძე — მილიციის უფროსი ლეიტენანტი
30. ყვავაძე ვლადიმერ არხიპოს-ძე — მილიციის სერჟანტი
31. შარაშენიძე ამირან ალექსანდრეს-ძე — მილიციის უფროსი სერჟანტი
32. შახკულიანი სტეფანე ნიკოლოზის-ძე — მილიციის უფროსი სერჟანტი
33. ჩიჩუა აბესალომ ივანეს-ძე — მილიციის ლეიტენანტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

34. ჭანკოტაძე გიორგი ალექსანდრეს-ძე — მილიციის კაპიტანი
35. ჭკადუა გრანტ ალექსანდრეს-ძე — მილიციის უფროსი სერჟანტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 29 ნოემბერი.

18. ბრძანებულება თეთრიწყაროს რაიონის მანგლისის სადაბო საბჭოს სოფლების ბუდიონოვკისა და ვოროშილოვკის გაერთიანების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დამტკიცდეს თეთრიწყაროს რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება მანგლისის სადაბო საბჭოს სოფლების ბუდიონოვკისა და ვოროშილოვკის ერთ სოფლად გაერთიანებისა და მისთვის სოფელ ალგეთის წოდების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 30 ნოემბერი.

19. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სა-პატიო სიგელით რესპუბლიკის იმ კომკავშირული ორგანიზაციების დაჯილ-დოების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ყამირ მიწებზე მოსავლის აღებაში

1957 წელს ყამირ მიწებზე მოსავლის აღების საქმეში პარტიისა და მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო ორგანიზაცია.
2. საქართველოს ალკკ აჭარის საოლქო ორგანიზაცია.
3. საქართველოს ალკკ აფხაზეთის საოლქო ორგანიზაცია.
4. საქართველოს ალკკ სამხრეთ ოსეთის საოლქო ორგანიზაცია.
5. საქართველოს ალკკ ქუთაისის საქალაქო ორგანიზაცია.
6. საქართველოს ალკკ რუსთავის საქალაქო ორგანიზაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირული ორგანიზაცია.

8. კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კომკავშირული ორგანიზაცია.

9. შრომის წითელი დროშის ორდენსანსი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კომკავშირული ორგანიზაცია.

10. საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის კომკავშირული ორგანიზაცია.

11. ვ. ი. ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის თბილისის ინჟინერთა ინსტიტუტის კომკავშირული ორგანიზაცია.

12. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კომკავშირული ორგანიზაცია.

13. ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კომკავშირული ორგანიზაცია.

14. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კომკავშირული ორგანიზაცია.

15. სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კომკავშირული ორგანიზაცია.

16. ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კომკავშირული ორგანიზაცია.

17. სტალინირის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კომკავშირული ორგანიზაცია.

18. გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კომკავშირული ორგანიზაცია.

19. თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კომკავშირული ორგანიზაცია.

20. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის კომკავშირული ორგანიზაცია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 3 დეკემბერი.

20. ბრძანებულება კუსტანაი-მოსკოვ-თბილისის ავტომოტოგადარბენის მონაწილეთა დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი კუსტანაი—მოსკოვ—თბილისის ავტომოტოგადარბენის წარმატებით ჩატარებისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით ყამირ მიწებზე მოსავლის აღების აქტიური მონაწილენი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. აზაურაშვილი გივი ევგენის-ძე — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინს. ტიტუტის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი
2. დათუაშვილი დიდიმ აკაკის-ძე — საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი
3. ებრალიძე ნუგზარ პეტრეს ძე — საქართველოს ალკკ რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივანი
4. თინეიშვილი ოთარ ვლადიმერის-ძე — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი
5. პეტროსიან რაფიელ დიმიტრის-ძე — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარაჟის მძღოლი
6. ტყემალაძე შოთა გაბრიელის-ძე — თბილისის ქალაქის პირველი საავადმყოფოს ექიმი
7. ქომეთიანი გივი ირაკლის-ძე — ქუთაისის მანქანათმშენებელი ქარხანა „გორნიაკის“ ოსტატი
8. ყანჩელი ოთარ ვლადიმერის-ძე — ვ. ი. ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის თბილისის ინჟინერთა ინსტიტუტის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი
9. ყიფიანი გივი დომენტის-ძე — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე
10. შეკარდნაძე ედუარდ ამბროსის-ძე — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 3 დეკემბერი.

21. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით იმ პირთა დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ზესტაფონ-ჭიათურის ფართოლიანდაგიანი რკინიგზის ელექტრიფიცირებული ხაზის მშენებლობაზე

ზესტაფონ-ჭიათურის ფართოლიანდაგიანი რკინიგზის ელექტრიფიცირებული ხაზის მშენებლობის წარმატებით დამთავრებისა და მუდმივ საექსპლოატაციოდ გადაცემის გამო დაჯილდოებულ იქნან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. ბარაბაძე გივი ევგენის-ძე — № 212 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის მთავარი მექანიკოსი
2. ბრეგვაძე ანდრია ისმაილის-ძე — № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის უფროსი
3. ბონდარევა ანა იაკობის ასული — № 454 ხიდის მატარებლის მებეტონე

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ბუროვი დიმიტრი ვასილის-ძე — ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტის მე-3 სამშენებლო უბნის მკედელი
5. გალდავაძე მიხეილ სტეფანეს-ძე — ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტის მე-3 სამშენებლო უბნის უფროსი
6. გასიტაშვილი ვლადიმერ გიორგის-ძე — ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტის სამშენებლო უბნის უფროსი
7. გაჩეჩილაძე გიორგი ილიას-ძე — „კავკეელდორეზრიკპრომის“ მბურღავი ამფეთქებელი
8. გეიკო ალექსი მიხეილის-ძე — ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტის მე-5 სამშენებლო უბნის მებეტონეთა ბრიგადირი
9. გლაზუნოვი ივანე პეტრეს-ძე — № 454 ხიდის მატარებლის მემონტაჟეთა ბრიგადირი
10. დაუშვილი გრიგოლ მიხეილ-ს-ძე — „კავკეელდორეზრიკპრომის“ უფროსი
11. დონჩენკოვი ანდრია ტრიფონის-ძე — № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის გვირაბ-გამყვანი
12. ენინა მარიამ ვასილის ასული — ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტის მე-3 სამშენებლო უბნის მებეტონე
13. ვეტერი ევდოკიმე ილარიონის-ძე — ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტის მე-3 სამშენებლო უბნის ექსკავატორის მემანქანე
14. ვოლოშინი სიმონ ტრიფონის-ძე — ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტის მე-5 სამშენებლო უბნის სამუშაოთა მწარმოებელი
15. ზინზიბაძე ალექსანდრე ბესარიონის-ძე — № 212 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის გვირაბ-გამყვანი
16. კაკაძე ვახტანგ სამსონის-ძე — ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტის მე-5 სამშენებლო უბნის სამუშაოთა მწარმოებელი
17. კობოზოვი დავით კონსტანტინეს-ძე — № 703 ელექტრო-სამონტაჟო მატარებლის ელექტრომონტიორთა ბრიგადირი
18. კრავცოვი ივანე მაქსიმეს-ძე — ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტის მე-5 სამშენებლო უბნის ექსკავატორის მემანქანე
19. კუზნეცოვი ივანე ეფრემის-ძე — № 212 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის გვირაბ-გამყვანი
20. კუპატაძე შაქრო მიხეილის-ძე — № 212 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის გვირაბ-გამყვანი
21. მანგოშვილი ვასილ დავითის-ძე — ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტის მე-3 სამშენებლო უბნის ლინდაგის დამგები
22. მაღრაძე გიორგი ივანეს-ძე — ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტის მე-5 სამშენებლო უბნის მშენებლობის ოსტატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

23. მაღრაძე პავლე ტრიფონის-ძე — № 454 ხიდის მატარებლის სამუშაოთა მწარმოებელი
24. მაღრაძე შალვა ილიას-ძე — ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტის მთავარი ინჟინერი
25. მიხნო მიხეილ ალექსის-ძე — ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტის მე-3 სამშენებლო უბნის ლიანდაგის დამგებთა ბრიგადირი
26. მუშლაძე ნოდარ იაკინთეს-ძე — № 454 ხიდის მატარებლის ხუროო
27. ნებიერიძე რუბენ ტრიფონის-ძე — № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის გვირაბ-გამყვანი
28. ნიჟარაძე ვახტანგ გიორგის-ძე — № 454 ხიდის მატარებლის უფროსი
29. პეტრენკო ვასილ ივანეს-ძე — ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტის მე-5 სამშენებლო უბნის ლიანდაგის დამგებთა ბრიგადირი
30. პლიუსნინი ნიკოლოზ ივანეს-ძე — № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის გვირაბ-გამყვანი
31. რუსკიხი რაისა სიმონის ასული — № 212 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის გამომზიდი
32. სიჩევი მიხეილ ნიკოლოზის-ძე — № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის ზეინკალი
33. სმაგლიი იავნუხ ალექსის-ძე — ამიერკავკასიის „ტრანსმშენ[illegible]ის“ ტრესტის მე-3 სამშენებლო უბნის მებეტონე
34. სოსელია ავთანდილ გიორგის-ძე — № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის მთავარი ინჟინერი
35. ტელეევნევი სერგი პანტელეის-ძე — № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის გვირაბ-გამყვანი
36. ტუღუში შალვა ნიკოლოზის-ძე — ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტის მე-3 სამშენებლო უბნის მთავარი ინჟინერი
37. ქემაშვილი იოსებ დიმიტრის-ძე — ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტის მე-3 სამშენებლო უბნის ხუროთა ბრიგადირი
38. ცატუროვი ალექსანდრე ტიგრანის-ძე — ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტის უფროსი
39. ცერცვაძე ანტონ ლევანის-ძე — ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტის მე-3 სამშენებლო უბნის კალატოზი
40. ცერცვაძე ისმაილ მიხეილის-ძე — ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტის მე-5 სამშენებლო უბნის სამუშაოთა მწარმოებელი
41. ჭუმბურიძე უშანგი კარპეზის-ძე — ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტის მე-3 სამშენებლო უბნის ბრიგადირი
42. ჭურაძე სერგი უშანგის-ძე — № 212 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის სამუშაოთა მწარმოებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

43. ხალცოვა ტატიანა ტიხონის-ასული — ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტის მე-3 სამშენებლო უბნის მეხტონე
44. ჯაყელი გაიოზ აკაკის-ძე — № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის ყოფილი მთავარი ინჟინერი
45. ჯუღელი ვალიკო ილიას-ძე — № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის გვირაბ-გამყვანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 6 დეკემბერი.

22. ბრძანებულება ლაგოდეხის რაიონის სოფელ ბუდიონოვკის და ბუდიონოვკის სასოფლო საბჭოს გადარქმევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დამტკიცდეს ლაგოდეხის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება სოფელ ბუდიონოვკის სოფელ ნინიგორად და ბუდიონოვკის სასოფლო საბჭოს ნინიგორის სასოფლო საბჭოდ გადარქმევის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 9 დეკემბერი.